ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი საქართველოში:

# 2012–2013 წწ. წინსვლის ანგარიში


ილიაშ გოგიძე
„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" წინსვლის პირველი ანგარიში


First Progress Report

Open Government Partnership
INDEPENDENT REPORTING MECHANISM

TRANSPARENCY INTERNATIONAL
GEORGIA

საერთაშორისო გამჭვირვალობა
საქართველო

Open Government Partnership

# ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი საქართველოში:

# 2012-13

# წწ. წინსვლის ანგარიში


EXECUTIVE SUMMARY: GEORGIA ........ 3

რეზიუმე: საქართველო........ 9

I | მოკლე ისტორია ........ 15

II | პროცესი: სამოქმედო გეგმის შემუშავება........ 17

III | პროცესი: კონსულტაციები განხორციელების პერიოდში ........ 21

IV | ვალდებულებების შესრულება........ 23

1 | მომავლის საჯარო სამსახური ........ 25

1.1 | იუსტიციის სახლი – სახელმწიფო სერვისების ცენტრი ........ 25

1.2 | ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ მთავრობებში ........ 27

1.3 | მოქალაქეთა პორტალი ........ 29

2 | ადვილად ხელმისაწვდომი ჯანდაცვა........ 31

3 | იყავით ინფორმირებული და წარმატებით განავითარეთ თქვენი ქვეყანა ........ 35

3.1 | ichange.ge-სა და data.gov.ge-ის ამოქმედება......... 35

3.2 | პლატფორმა საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობისათვის........ 37

3.3 | მოქალაქეები და სამართალი ........ 39

3.4 | გამჭვირვალობა პარტიათა დაფინანსებაში........ 41

Open Government Partnership

4 | ინოვაცია ხარჯვის ეფექტიანობის მისაღწევად ................................ 43

4.1 | ელექტრონული შესყიდვების სამამულო კონცეფცია ................... 43

4.2 | ელექტრონული დეკლარაციები ........................................................ 45

5 | ტექნოლოგიები უსაფრთხოების სამსახურში: ICCMS, დანაშაულის ფაქტების ამსახველი რუკადა „უსაფრთხო უბანი“ ........................................................................................................ 47

6 | არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი ........................................... 49

V | თვითშეფასების კითხვარი ................................................................................ 51

VI | წინ გადადგმული ნაბიჯები ........................................................................... 53

დანართი: მეთოდოლოგია .................................................................................... 57

# EXECUTIVE SUMMARY: GEORGIA

# INDEPENDENT REPORTING MECHANISM (IRM): **GEORGIA PROGRESS REPORT 2012-2013**

**Georgia had an ambitious action plan, including noteworthy commitments on improving public procurement and transparency of party financing. Georgia can make progress on its commitments by taking a more proactive role in public consultation and by adding commitments that foster more citizens' input on official decisions.**

The Open Government Partnership (OGP) is a voluntary international initiative that aims to secure commitments from governments to their citizenry to promote transparency, empower citizens, fight corruption, and harness new technologies to strengthen governance. The Independent Reporting Mechanism (IRM) carries out a biannual review of each OGP participating country's activities.

Georgia officially began formal participation in the OGP in August 2011, when the Minister of Foreign Affairs declared Georgia's intent to join.

The Ministry of Justice (MoJ) leads implementation in Georgia. A decree adopted in 2013 clarified the MoJ's implementation role and relationship with other government entities regarding Georgia's OGP action plan. Other key government actors include the Public Service Development Agency, the Data Exchange Agency, the Ministry of Labour, Health and Social Affairs, the Legislative Herald, the Supreme Audit Institution, the Competition and State Procurement Agency, the Ministry of Internal Affairs, the Supreme Court, and the Civil Service Bureau.

## OGP PROCESS

Countries participating in the OGP follow a process for consultation during development of their OGP action plan and during implementation.

Georgia generally fell short in following the consultation process because it was impaired by a degree of exclusiveness, spontaneity and fragmentation. While the government consulted four civil society organisations (CSOs) in-person and created a website to discuss the draft action plan, several factors appear to have limited consultation. Most notably, the government did not share the draft action plan widely, but rather left that to the small number of CSOs involved in developing the action plan. Additionally, the government did not provide advance notice for consultations and failed to raise awareness of OGP activities.

The government did not publish a progress report on implementation, nor did it set aside two weeks for a public comment period, as mandated by the consultation process.

## AT A GLANCE

MEMBER SINCE: **2011**
NUMBER OF COMMITMENTS: **12**

### LEVEL OF COMPLETION

| | |
|---|---|
| COMPLETED: | 3 of 12 |
| SUBSTANTIAL: | 3 of 12 |
| LIMITED: | 4 of 12 |
| NOT STARTED: | 4 of 12 |

### TIMING

| | |
|---|---|
| ON SCHEDULE: | 2 of 12 |
| AHEAD OF SCHEDULE | 3 of 12 |

### COMMITMENT EMPHASIS

| | |
|---|---|
| ACCESS TO INFORMATION: | 11 of 12 |
| CIVIC PARTICIPATION: | 3 of 12 |
| ACCOUNTABILITY: | 2 of 12 |
| TECH & INNOVATION FOR TRANSPARENCY & ACCOUNTABILITY: | 2 of 12 |
| NONE: | 1 of 12 |

### NUMBER OF COMMITMENTS THAT WERE:

| | |
|---|---|
| CLEARLY RELEVANT TO AN OGP VALUE: | 11 of 12 |
| SIGNIFICANT POTENTIAL IMPACT: | 10 of 12 |
| SUBSTANTIALLY OR COMPLETELY IMPLEMENTED: | 6 of 12 |
| ALL THREE (✪): | 4 of 12 |

*This report was prepared by Lasha Gogidze of Transparency International Georgia*

## COMMITMENT IMPLEMENTATION

Table 1 summarises each of Georgia's action plan commitments, including each commitment's level of completion, ambition, whether it falls within Georgia's planned schedule, and key next steps. Georgia's commitments covered a wide variety of sectors and were ambitious. Table 2 summarizes the IRM assessment of progress on each commitment. Georgia completed three of its 12 commitments.

### Table 1 | Assessment of Progress by Commitment

| COMMITMENT SHORT NAME | POTENTIAL IMPACT | | | | LEVEL OF COMPLETION | | | | TIMING | NEXT STEPS |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ✪ COMMITMENT IS CLEARLY RELEVANT TO OGP VALUES AS WRITTEN, HAS SIGNIFICANT POTENTIAL IMPACT, AND IS SUBSTANTIALLY OR COMPLETELY IMPLEMENTED. | NONE | MINOR | MODERATE | TRANSFORMATIVE | NOT STARTED | LIMITED | SUBSTANTIAL | COMPLETE | | |
| **1. Public Service Of The Future** | | | | | | | | | | |
| **1.1 Public Service Hall-Hub of Public Services:** Ensure fast, efficient, and comfortable service delivery through building a platform. | ■ | | | | ■ | ■ | ■ | | On schedule | New commitment based on existing implementation |
| ✪ **1.2. E-governance in Local Governments:** Provide access to innovative public services in rural Georgia by integrating municipalities into the e-governance system and building Village Development Centres. | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | On schedule | New commitment |
| ✪ **1.3. Citizens' Portal:** Make public services available online. | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | Behind schedule | Revision of commitment to be more achievable or measureable |
| **2. Easily Accessible and Better Healthcare:** Improve healthcare infrastructure and create an online database with healthcare services information. | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | | | Behind schedule | Further work on basic implementation |
| **3. Be Informed And Advance Your Country** | | | | | | | | | | |
| **3.1. Launch Ichange.ge and Data.gov.ge**: Create a unified public information database and publish all high-profile public interest information. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | Behind schedule | Revision of commitment |
| **3.2. Platform for Participation in the Legislative Process:** Engage citizens in the legislative process. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | Behind schedule | Revision of commitment |

| COMMITMENT SHORT NAME | POTENTIAL IMPACT | | | | LEVEL OF COMPLETION | | | | TIMING | NEXT STEPS |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ✪ COMMITMENT IS CLEARLY RELEVANT TO OGP VALUES AS WRITTEN, HAS SIGNIFICANT POTENTIAL IMPACT, AND IS SUBSTANTIALLY OR COMPLETELY IMPLEMENTED. | NONE | MINOR | MODERATE | TRANSFORMATIVE | NOT STARTED | LIMITED | SUBSTANTIAL | COMPLETE | | |
| **3.3. Citizens and Justice:** Expand jury trials geographically and provide citizens opportunities to fulfil jury duties. | ■ | | | | ■ | ■ | ■ | ■ | Ahead of schedule | None: Completed Implementation |
| ✪ **3.4. Transparent Party Financing:** Ensure transparency in political parties' finances. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | Ahead of schedule | Further work on basic implementation |
| **4. Innovation For Efficient Spending** | | | | | | | | | | |
| ✪ **4.1. Homegrown Concept of E-procurement:** Conduct public procurement exclusively online to curb corruption. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | Ahead of schedule | Further work |
| **4.2. E-declarations:** Improve existing system for declaring civil servants' financials and introduce monitoring mechanisms. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | Behind schedule | Further work |
| **5. Technology Cares for Safety: ICCMS, Crime Mapping, and Safety** in Your Neighbourhood: Develop electronic systems to fight crime and enable citizens to inform local prosecutors about neighbourhood-specific problems. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | Behind schedule | Revision of commitment |
| **6. NGO Forum: Create NGO forum to support and** monitor Georgia's implementation of OGP commitments. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | Behind schedule | Further work |

## Table 2 | Summary of Progress by Commitment

| NAME OF COMMITMENT | SUMMARY OF RESULTS |
|---|---|
| ✪ COMMITMENT IS CLEARLY RELEVANT TO OGP VALUES AS WRITTEN, HAS SIGNIFICANT POTENTIAL IMPACT, AND IS SUBSTANTIALLY OR COMPLETELY IMPLEMENTED. | |
| **1. Public Service Of The Future** | |
| 1.1 Public Service Hall-Hub of Public Services<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: None<br>• Completion: Substantial | This commitment to build 16 Public Service Halls for all major Georgian cities was substantially implemented. However, it is difficult to assess whether this commitment was completed, as the government did not publish a self-assessment report. According to CSOs and academics, the commitment fell short of meeting core OGP values. |
| ✪ 1.2. E-governance in Local Governments<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Moderate<br>• Completion: Substantial | This commitment was substantially implemented. The assessment of its progress was based on the data provided by the Public Service Development Agency. It is unclear how the commitment promoted access to information and public participation. |
| ✪ 1.3. Citizens' Portal<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Moderate<br>• Completion: Substantial | This commitment was substantially implemented. However, the citizens' portal was difficult to use and was not appropriately publicised. |
| 2. Easily Accessible and Better Healthcare<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Moderate<br>• Completion: Limite | Although this objective existed prior to OGP, the government's commitment to build 150 hospitals has not been met. The level of completion was very limited. |
| **3. Be Informed And Advance Your Country** | |
| 3.1. Launch Ichange.ge and Data.gov.ge<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Transformative<br>• Completion: Not Started | No concrete efforts have been made to enhance citizens' participation in decision making. The government was unable to launch Ichange.ge or to make Data.gov.ge fully operational. According to stakeholders, the commitment fell behind schedule because of the lack of government planning. |
| 3.2. Platform for Participating in the Legislative Process<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Transformative<br>• Completion: Limited | This commitment's implementation was limited, despite significant support from CSOs. Not all draft laws were published. Public participation was subject to a number of conditions, many of which limited public participation in the law making processes. |
| 3.3. Citizens and Justice<br>• OGP Value Relevance: Unclear<br>• Potential Impact: None<br>• Completion: Complete | This commitment was completed. However, all stakeholders believe the commitment is not relevant to OGP and should have been discontinued. |

## Table 2 | Summary of Progress by Commitment

| NAME OF COMMITMENT | SUMMARY OF RESULTS |
|---|---|
| ✪ 3.4. Transparent Party Financing<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Transformative<br>• Completion: Complete | This commitment was completed. The stakeholders consider its completion an important step forward to prevent corruption in financing political parties. |
| **4. Innovation For Efficient Spending** | |
| ✪ 4.1. Homegrown Concept of E-procurement<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Transformative<br>• Completion: Complete | The commitment was completed. Georgia's e-procurement system could inspire other countries fighting corruption in public expenditures. |
| 4.2. E-declarations<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Transformative<br>• Completion: Limited | Implementation of this commitment was limited, despite the fact that CSOs consider it to be very important. Most notably, the government was unable to implement the monitoring mechanism that would verify declarations made by public officials. |
| 5. Technology Cares for Safety: ICCMS, Crime Mapping, and Safety in Your Neighbourhood<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Transformative<br>• Completion: Not Started | This commitment had not been started at the time of this review. Stakeholders considered this commitment important and ambitious. |
| 6. NGO Forum<br>• OGP Value Relevance: Clear<br>• Potential Impact: Transformative<br>• Completion: Limited | This commitment was aimed at creating an NGO forum to support and monitor the implementation of Georgia's OGP commitments. However, implementation of this commitment came to an abrupt halt. As a result, the cooperation between government and civil society was unstructured and spontaneous. |

## RECOMMENDATIONS

CSOs played an influential role in making Georgia's final action plan more clearly related to core OGP principles of transparency, public participation, and accountability. However, Georgia lacks a clear vision for its open government activities. Based on the challenges and findings identified in this report, this section sets forth the following recommendations.

1. The government of Georgia should articulate clearly a vision for open government and the role OGP should play in making government more open, transparent and responsive to its citizens.
2. The action plan should include commitments that comply with the following minimum standards: (a) action-oriented, (b) clear timelines, (c) targets that allow for better progress assessment, and (d) inclusive of a wide range of citizen needs beyond the agendas or needs of the principal actors.
3. The consultation process for developing and implementing the action plan should include these minimum standards: (a) widespread public consultation, (b) solicitation of stakeholder comments, and (c) sufficient notice.
4. Civil society and media should view the OGP as a platform to enhance public participation in decision making by taking up opportunities created by the government, participating in consultations, engaging the government in the development of the next action plan, and raising awareness about OGP.
5. International donors should assist the government and CSOs in adherence to OGP requirements.

## ELIGIBILITY REQUIREMENTS: 2012

To participate in OGP, governments must demonstrate commitment to open government by meeting minimum criteria on key dimensions of open government. Third-party indicators are used to determine country progress on each of the dimensions. For more information, visit http://www.opengovpartnership.org/how-it-works/how-join/eligibility-criteria. Raw data has been recoded by OGP staff into a four-point scale, listed in parentheses below.

**BUDGET TRANSPARENCY:**
Executive Budget and Audit Report
4 OUT OF 4

**ACCESS INFORMATION:**
Law Enacted
4 OUT OF 4

**ASSET DISCLOSURE:**
Elected Officials and Politicians
4 OUT OF 4

**CIVIC PARTICIPATION:**
6.18 of 10
3 OUT OF 4

TRANSPARENCY INTERNATIONAL
GEORGIA

Lasha Gogidze is a senior analyst with Transparency International Georgia. TI Georgia is an independent, locally registered non-commercial legal entity. Its mission is to promote good governance, rule of law, fair and democratic elections and human rights in Georgia, while ensuring transparency and accountability of Georgian public agencies.

Open Government Partnership
INDEPENDENT REPORTING MECHANISM

OGP aims to secure concraims to secure concrete commitments from governments to promote transparency, empower citizens, fight corruption, and harness new technologies to strengthen governance. OGP's Independent Reporting Mechanism (IRM) assesses the development and implementation of national action plans to foster dialogue among stakeholders and improve accountability.

TOC

# რეზიუმე: საქართველო

## ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი (IRM) საქართველოში:
# 2012-13 წწ. წინსვლის ანგარიში

**საქართველოს 2012–13 წწ. ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა ამბიციური იყო, რომელიც შეიცავდა ისეთ მნიშვნელოვან ვალდებულებებს, როგორიცაა საჯარო შესყიდვებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდა. საქართველოს შეუძლია უფრო მეტი წინსვლა აჩვენოს ახალი სამოქმედო გეგმის ირგვლივ საჯარო კონსულტაციების პროაქტიულად წარმართვისა და მოქალაქეებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისთვის ქმედითი მექანიზმების შექმნის გზით.**

OGP) არის ნებაყოფლობითი საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია მთავრობების მიერ გამჭვირვალობის, მოქალაქეთა უფლებამოსილებებით აღჭურვის, კორუფციასთან ბრძოლისა და მმართველობის გასაძლიერებლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით საკუთარი მოქალაქეების წინაშე აღებული კონკრეტული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. ორ წელიწადში ერთხელ ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი (IRM) OGP–ის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებს აანალიზებს.

საქართველო OGP–ს ოფიციალურად 2011 წლის აგვისტოში შეუერთდა, როდესაც საქართველოს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, გრიგოლ ვაშაძემ, საქართველოს OGP–ში გაწევრებისათვის განზრახვის თაობაზე განაცხადა.

საქართველოში OGP–ს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ხელმძღვანელობს. 2013 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება,რომელიც განმარტავს OGP–ის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს როლს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებთან მისმიმართებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მთავარ სახელისუფლებო სუბიექტებად გვევლინებიან: სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს უზენაესი სასამართლო და საჯარო სამსახურის ბიურო.

### OGP–ის წინსვლა

OGP–ის წევრი ქვეყნები OGP–ის საკუთარი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების დროს კონსულტაციებს მართავენ. საქართველომ, საერთო ჯამში, სამოქმედო გეგმის შემუშავების მინიმალური პირობები ვერ დააკმაყოფილა. არ გაკეთებულა წინასწარი შეტყობინება კონსულტაციების თაობაზე. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციათა მცირე ჯგუფს ელოდნობოდა და ვერ აამაღლა ცნობიერება OGP–ის ღონისძიებათა შესახებ. მართალია, ხელისუფლებამ გამართა პერსონალური კონსულტაციები და სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის მიზნით ვებგვერდიც შექმნა, მაგრამ კონსულტაციების პროცესში რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია მოქალაქეთა შეზღუდული მონაწილეობა. ამ მხრივ ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის, რომ სამოქმედო გეგმის პროექტის ფართოდ გაზიარება მოხდა არახელისუფლების, არამედ OGP–ის პროცესში ჩართულია რასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

პერსონალურ კონსულტაციებში ოთხი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია მონაწილეობდა.თუმცა მთლიანად კონსულტაციების პროცესი ექსკლუზიურობის ნიშნით მიმდინარეობდა და სპონტანური და ფრაგმენტული იყო.

მთავრობას არც ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით წინსვლის ანგარიში გამოუქვეყნებია და საზოგადოების გამოხმაურებისათვის არც ორკვირიანი პერიოდი გამოუყვია, როგორც ამას OGP–ის სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს.

## მოკლედ

წევრი: 2011 წლიდან
ვალდებულებათა რაოდენობა:12

**დასრულების დონე**

| | |
|---|---|
| დასრულებული: არსებითად დასრულებული: | 12–იდან 3 |
| | 12–იდან 3 |
| შეზღუდული: | 12–იდან 4 |
| არ დაწყებულა: | 12–იდან 2 |

**ვადები**

| | |
|---|---|
| გრაფიკით: | 12–დან 2 |
| გრაფიკს წინ უსწრებს: | 12–დან 3 |

**ვალდებულებების აქცენტი:**

| | |
|---|---|
| ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: | 12–იდან 11 |
| მოქალაქეთა ჩართულობა: | 12–იდან 3 |
| ანგარიშვალდებულება: | 12–იდან 2 |
| ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის: | 12–იდან 2 |
| არცერთი: | 12–იდან 1 |

**ვალდებულებათა რაოდენობა, რომლებიც:**

| | |
|---|---|
| გარკვევით უკავშირდება OGP–ის ღირებულებას: | 12–იდან 11 |
| მნიშვნელოვან პოტენციურ შედეგს აჩვენებს: | 12–იდან 10 |
| არსებითად ან სრულად შესრულდა: | 12–იდან 6 |
| სამივე: | 12–იდან 4 |

*ეს ანგარიში მოამზადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელმა ლაშა გოგიძემ.*

## ვალდებულებების შესრულება

OGP-ის წევრობა ქვეყნებს ავალდებულებს, საკუთარი ვალდებულებები ორწლიან სამოქმედო გეგმაში ჩამოაყალიბონ. 1-ლ ცხრილში მოკლედაა აღწერილი თითოეული ვალდებულება, მისი და სრულების დონე, მისწრაფება, სრულდება თუ არა ის საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად და ვალდებულების OGP-ის მომავალ სამოქმედო გეგმებში უკეთ ასახვისათვის გადასადგმელი მთავარი შემდგომი ნაბიჯები. საქართველოს სამოქმედო გეგმამ მრავალი სექტორი მოიცვა. მასში აისახა რამდენიმე ამბიციური ვალდებულება, რომლებსაც ქვემოთ ვაჩვენებთ. ქვეყნის მიერ აღებული 12 ვალდებულებიდან 3 დასრულებულია.

### ცხრილი 1 | წინსვლის შეფასება ვალდებულებების მიხედვით

| ვალდებულების მოკლე დახასიათება | პოტენციური შედეგი | | | | დასრულების დონე | | | | ვადები | შემდგომი ნაბიჯები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ✪ **ვალდებულების ტექსტი გარკვევით შეესაბამება OGP-ის ღირებულებებს,** შეიცავს მნიშვნელოვან პოტენციურ შედეგს და არსებითად ან სრულად დასრულებულია | არცერთი | მცირე | ზომიერი | ტრანსფორმაციული | არ დაწყებულა | შეზღუდული | არსებითი | დასრულებული | | |
| **1. მომავლის საჯარო სამსახური** | | | | | | | | | | |
| **1.1 იუსტიციის სახლი – სახელმწიფო სერვისების ცენტრი –** სწრაფი, ეფექტიანი და კომფორტული მომსახურების მიწოდების მიზნით ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე დაწესებულების შექმნა. | ■ | | | | ■ | ■ | ■ | | გრაფიკის მიხედვით | ახალი ვალდებულება არსებული შესრულების საფუძველზე |
| **1.2. ელექტონული მმართველობა ადგილობრივ მთავრობებში –** სოფლებში ინოვაციური სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა: ა) ელექტრონული მმართველობის სისტემაში მუნიციპალიტეტების თანდათანობითი ინტეგრირებით; ბ) შორეულ სოფლებში სოფლის განვითარების ცენტრების აშენებით. | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | გრაფიკის მიხედვით | ახალი ვალდებულება არსებული შესრულების საფუძველზე |
| **1.3. მოქალაქეთა პორტალი –** სახელმწიფო სერვისების ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | ■ | | გრაფიკს ჩამორჩება | ვალდებულების გადახედვა და იმგვარად ჩამოყალიბება, რომ უფრო მიღწევადი ან გაზომვადი იყოს |
| **2. ადვილად ხელმისაწვდომი და უკეთესი ჯანდაცვა –** ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ჯანდაცვის სერვისების შესახებ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა. | ■ | ■ | ■ | | ■ | ■ | | | გრაფიკს ჩამორჩება | შემდგომი მუშაობა ძირითად შესრულებაზე |
| **3. იყავით ინფორმირებული და წარმატებით განავითარეთ თქვენი ქვეყანა** | | | | | | | | | | |
| **3.1. ichange.ge-სა და data.gov.ge-ს ამოქმედება –** მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის სრულად გამოქვეყნება; საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა. | ■ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | გრაფიკს ჩამორჩება | ვალდებულების გადახედვა და იმგვარად ჩამოყალიბება, რომ უფრო მიღწევადი ან გაზომვადი იყოს |

| ვალდებულების მოკლე დახასიათება | პოტენციური შედეგი | | | | დასრულების დონე | | | | ვადები | შემდგომი ნაბიჯები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ✪ **ვალდებულების ტექსტი გარკვევით შეესაბამება OGP–ის** ღირებულებებს, შეიცავს მნიშვნელოვან პოტენციურ შედეგს და არსებითად ან სრულად დასრულებულია | არცერთი | მცირე | ზომიერი | ტრანსფორმაციული | არ დაწყებულა | შეზღუდული | არსებითი | დასრულებული | | |
| **3.2. პლატფორმა საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობისათვის –** მოქალაქეთა საკანონმდებლო პროცესში ჩართვა. | | | | | | | | | გრაფიკს ჩამორჩება | ვალდებულების გადახედვა და იმგვარად ჩამოყალიბება, რომ უფრო მიღწევადი ან გაზომვადი იყოს |
| **3.3. მოქალაქეები და სამართალი –** ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების განვითარება ისე, რომ ამგვარი სასამართლო პროცესების გეოგრაფიული არეალი გაფართოვდეს და მოქალაქეებს ნაფიც მსაჯულებად ყოფნის შესაძლებლობა მიეცეთ. | | | | | | | | | გრაფიკს წინ უსწრებს | არცერთი. დასრულებული ვალდებულება |
| **3.4. გამჭვირვალობა პარტიათა დაფინანსებაში –** პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. | | | | | | | | | გრაფიკს წინ უსწრებს | შემდგომი მუშაობა ძირითად შესრულებაზე |
| **4. ინოვაცია ხარჯვის ეფექტიანობის მისაღწევად** | | | | | | | | | | |
| **4.1. ელექტრონული შესყიდვების ერთვნული კონცეფცია –** კორუფციის აღსაკვეთად სახელმწიფო შესყიდვების მხოლოდ ონლაინ რეჟიმში განხორციელება. | | | | | | | | | გრაფიკს წინ უსწრებს | შემდგომი მუშაობა ძირითად შესრულებაზე |
| **4.2. ელექტრონული დეკლარაციები –** საჯარო მოხელეთა მიერ ფინანსური დეკლარაციების წარდგენის არსებული სისტემის გაუმჯობესება და მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა. | | | | | | | | | გრაფიკს ჩამორჩება | შემდგომი მუშაობა ძირითად შესრულებაზე |
| **5. ტექნოლოგიები უსაფრთხოების სამსახურში: ICCMS , დანაშაულის ფაქტების ამსახველი რუკა და „უსაფრთხო უბანი“ –** დანაშაულთან ბრძოლის მიზნით ელექტრონული სისტემების შექმნა, რომლებიც მოქალაქეებს მისცემს საშუალებას, ადგილობრივ პროკურატურებს დაუკავშირდნენ და მიაწოდონ მათ ინფორმაცია უბნის კონკრეტული პრობლემების შესახებ. | | | | | | | | | გრაფიკს ჩამორჩება | ვალდებულების გადახედვა და იმგვარად ჩამოყალიბება, რომ უფრო მიღწევადი ან გაზომვადი იყოს |
| **6. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი –** საქართველოს მიერ OOGP–ის ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერისა და მონიტორინგის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის დაარსება. | | | | | | | | | გრაფიკს ჩამორჩება | შემდგომი მუშაობა ძირითად შესრულებაზე |

## ცხრილი 2 | წინსვლის შეჯამება ვალდებულებების მიხედვით

| ვალდებულების სახელწოდება | შედეგების შეჯამება |
|---|---|
| ✪ ვალდებულები სტექსტი გარკვევით შეესაბამება OGP –ის ღირებულებებს, შეიცავს მნიშვნელოვან პოტენციურ შედეგს და არსებითად ან სრულად დასრულებულია. | |
| **1. მომავლის საჯარო სამსახური** | |
| 1.1.იუსტიციის სახლი – სახელმწიფო სერვისების ცენტრი<br>• OGP–ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: არცერთი<br>• დასრულება: არსებითი | ეს ვალდებულება, რომელიც საქართველოს ყველა ძირითად ქალაქში 16 იუსტიციის სახლის აშენებას ითვალისწინებდა, არსებითად დასრულდა. მაგრამ რთული შესაფასებელია, შესრულდა თუ არავალდებულება, რადგან მთავრობას თვითშეფასების ანგარიში არ გამოუქვეყნებია. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მეცნიერთა აზრით, ვალდებულება OGP–ის ღირებულებებს არ პასუხობს. |
| 1.2. ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ მთავრობებში<br>• OGP–ის ღირებულებებთან მიმართება: ნ ათელი<br>• პოტე ნციური შედეგი: ზომიერი<br>• დასრულება: არსებითი | ეს ვალდებულება არსებითად დასრულდა, მაგრამ, რადგან მთავრობას თვითშეფასების ანგარიში არ გამოუქვეყნებია, მისი შესრულება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე შეფასდა. ამჟამინდელი ფორმულირებით გაუგებარია, როგორ განავითარა ვალდებულება OGP–ის ღირებულებები – ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა. |
| 1.3. მოქალაქეთა პორტალი<br>• OGP–ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ზომიერი<br>• დასრულება: არსებითი | ეს ვალდებულებ აარსებითად დასრულდა, მაგრამ მოქალაქეთა პორტალი რთული გამოსაყენებელი იყოდაარც სათანადოდ გაშუქებულა. ასევე გაუგებარია, როგორ განავითარა აღნიშნულმა ვალდებულებამ OGP–ის ღირებულებები. |
| 2. ადვილად ხელმისაწვდომი და უკეთესი ჯანდაცვა<br>• OGP–ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ზომიერი<br>• დასრულება: შეზღუდული | მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულება საქართველოს OGP–ში გაწევრებამდე არსებობდა, მთავრობის ვალდებულება, აეშენებინა 150 საავადმყოფო, არ შესრულებულა. შესრულება ძალზე შეზღუდული იყო. გარდა ამისა, რთული შესაფასებელია ვალდებულების OGP–ის ღირებულებებთან მიმართება. |
| **3. იყავით ინფორმირებული და წარმატებით განავითარეთ თქვენი ქვეყანა** | |
| 3.1. ichange.ge–სა და data.gov.ge–ს ამოქმედება<br>• OGP–ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული<br>• დასრულება: არ დაწყებულა | მიზნის მიუხედავად, არ განხორციელებულა კონკრეტული ძალისხმევა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდისათვის. ფაქტობრივად, მთავრობამ ვერ შეძლო ichange.ge–ს ამოქმედება. არც data.gov.ge ფუნქციონირებს სრულად. დაინტერესებულ მხარეთა აზრით, ვალდებულების გრაფიკში ჩამორჩენა მთავრობის მიერ არასაკმარისი დაგეგმვის შედეგია. |
| 3.2.პლატფორმა საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობისათვის<br>• OGP–ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული<br>• დასრულება: შეზღუდული | ამ ვალდებულების შესრულება, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობდა, შეზღუდული იყო. ყველა კანონპროექტი არ გამოქვეყნებულა, ხოლო მოქალაქეთა ჩართულობისათვის საჭირო იყო არაერთიპირობის დაკმაყოფილება, რომელიც კანონშემოქმედების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას ზღუდავდა. |
| 3.3.მოქალაქეები და სამართალი<br>• OGP–ის ღირებულებებთან მიმართება: გაურკვეველი<br>• პოტენციური შედეგი: არცერთი<br>• დასრულება: დასრულებული | ეს ვალდებულება დასრულდა. ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაჩნია, რომ ვალდებულება OGP–ს არ უკავშირდება და შესაძლებელია მისი ამოღება OGP–ს მომავალი სამოქმედო გეგმიდან. |

რეზიუმე

**ცხრილი 2 | წინსვლის შეჯამება ვალდებულებების მიხედვით**

| ვალდებულების სახელწოდება | შედეგების შეჯამება |
| --- | --- |
| 3.4.გამჭვირვალობა პარტიათა დაფინანსებაში<br>• OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული<br>• დასრულება: დასრულებული | ეს ვალდებულება დასრულდა. დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ მისი დასრულება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში კორუფციის აღმოფხვრის კუთხით. |
| **4. ინოვაცია ხარჯვის ეფექტიანობის მისაღწევად** | |
| 4.1. ელექტრონული შესყიდვების ეროვნული კონცეფცია<br>• OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული<br>• დასრულება: დასრულებული | ეს ვალდებულება დასრულდა. მისი შესრულების შემდეგ საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემა შეიძლება სასარგებლო იყოს სხვა ქვეყნებისათვის სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში კორუფციასთან ბრძოლის კუთხით. |
| 4.2.ელექტრონული დეკლარაციები<br>• OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული<br>• დასრულება: შეზღუდული | ეს ვალდებულება ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. მაგრამ მისი შესრულება შეზღუდულია. ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის, რომ მთავრობამ ვერ აამოქმედა მონიტორინგის მექანიზმი საჯარო მოხელეთა მიერ წარდგენილი დეკლარაციების შესამოწმებლად. |
| 5. ტექნოლოგიები უსაფრთხოების სამსახურში: ICCMS, დანაშაულის ფაქტების ამსახველი რუკა და „უსაფრთხო უბანი"<br>• OGP –ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული<br>• დასრულება: არ დაწყებულა | დაინტერესებულ მხარეთა აზრით, ეს ვალდებულება მნიშვნელოვანი იყო და არც მისწრაფება აკლდა, მაგრამ ის შეფასების პერიოდისათვის დაწყებული არ ყოფილა. |
| 6. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი<br>• OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი<br>• პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული<br>• დასრულება: შეზღუდული | ამ ვალდებულების შესრულება მოულოდნელად შეწყდა. ამის გამო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა უსისტემო და სპონტანური იყო. |

## რეკომენდაციები

დაინტერესებულ მხარეთა აზრით, საქართველოს მთავრობა ერთმანეთისაგან უნდა ასხვავდებდეს კარგ მმართველობასა და ღია მმართველობას. ეს უკანასკნელი მომსახურების უზრუნველყოფის რეფორმებთან ერთად საზოგადოების ჩართულობისათვის ისეთი პლატფორმების შექმნას გულისხმობს, რომლებიც მთელი საზოგადოებისათვის იქნება ხელმისაწვდომი. ამ ნაწილში წარმოდგენილია ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც ანგარიშში მითითებული გამოწვევებიდან და დასკვნებიდან გამომდინარეობს.

1. საქართველოს მთავრობამ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი ხედვა ღია მმართველობის საკითხში და OGP-ის, თუ რა როლს უნდა ასრულებდეს OGP მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირების უნარის გაზრდის კუთხით.
2. OGP-ის სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს ვალდებულებებს, რომლებიც შემდეგ მინიმალურ სტანდარტებს დააკმაყოფილებს: (ა) იქნება ქმედება ზეორიენტირებული; (ბ) დაადგენს მკაფიოვადებს; (გ) ექნება მიზნები, რომლებიც მიღწეულის უკეთ შეფასების საშუალებას იძლევა; (დ) უპასუხებს მოქალაქეთა ფართო სპექტრის საჭიროებებს, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ დღის წესრიგს ან წამყვანი სუბიექტების საჭიროებებს ასახავდეს.
3. სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების საკითხებზე კონსულტაციების პროცესში დაცული უნდა იყოს შემდეგი მინიმალური სტანდარტები: (ა) ფართო საზოგადოებრივი კონსულტაციების წარმოება; (ბ)დაინტერესებულ მხარეთა კომენტარების მიღების სურვილი; (გ)კონსულტაციებისა და უკუკავშირის თაობაზე საკმარისი შუალედის დაცვით წინასწარი შეტყობინება.
4. სამოქალაქო საზოგადოება და მასმედია OGP-ს უნდა განიხილავდნენ, როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გასაზრდელ პლატფორმას. ამისათვის სამოქალაქო საზოგადოებამ და მასმედიამ უნდა გამოიყენონ მთავრობის მიერ შექმნილი შესაძლებლობები, მონაწილეობა უნდა მიიღონ კონსულტაციებში, უნდა ჩართონ მთავრობა მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში და აამაღლონ ცნობიერება OGP-ის საკითხებზე.
5. საერთაშორისო დონორები უნდა დაეხმარონ როგორც მთავრობას, ისე სამოქალაქო საზოგადოებას, რომ მათ უკეთ შეასრულონ OGP-ის მოთხოვნები.

### დასაშვებობის მოთხოვნები 2012

OGP-ის წევრობისათვის მთავრობამ ღიამმართველობის მთავარი ღირებულებების მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებით ღია მმართველობის ერთგულება უნდა აჩვენოს. ქვეყნის მიერ ღია მმართველობის თითოეული ღირებულების მიმართულებით მიღწეული წინსვლის დასადგენად მესამე მხარის მიერ შემუშავებული ინდიკატორები გამოიყენება. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდი: ვებგვერდი:http://www.opengovpartnership.org/how-it-works/how-join/eligibility-criteria .ჩართული აღწერილობები ჩაწერილია OGP-ის მიერ.

**ბიუჯეტის გამჭვირვალობა:**
ბიუჯეტისა და აუდიტის ანგარიში(4-იდან 4)

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:**
ამოქმედებული კანონი (4-იდან 4)

**ქონებრივი დეკლარაციები:**
არჩეული საჯარო მოხელეები და პოლიტიკოსები(4-იდან 4)

**საზოგადოების ჩართულობა:**
10-იდან 6,18 (4-იდან 3)

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დამოუკიდებელი, ადგილობრივი არაკომერციული იურიდიული პირია. მისი ძირითადი მისიაა საქართველოში კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობის, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნებისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და, იმავდროულად, საქართველოს სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.

Open Government Partnership
INDEPENDENT REPORTING MECHANISM

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიზანია გამჭვირვალობის, მოქალაქეთა უფლებამოსილებებით აღჭურვის, კორუფციასთან ბრძოლისა და მმართველობის გასაძლიერებლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით მთავრობების მიერ აღებული კონკრეტული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. OGP-ის ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი აფასებს ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობისა და ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით.

TOC

# I | მოკლე ისტორია

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის ნებაყოფლობითი, მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით შექმნილი საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია მთავრობების მიერ გამჭვირვალობის ხელშეწყობის, მოქალაქეთა უფლებამოსილებებით აღჭურვის, კორუფციასთან ბრძოლისა და მმართველობის გასაძლიერებლად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით საკუთარი მოქალაქეების წინაშე აღებული კონკრეტული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად OGP-ს აქვს საერთაშორისო ფორუმი, რომელზედაც მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (სსო) და კერძო სექტორს, ანუ ყველა მხარეს, რომლებსაც ღია მმართველობის საერთო მიზანი ამოძრავებთ, ერთმანეთთან დიალოგის წარმართვა და აზრთა გაზიარება შეუძლიათ. OGP-ის დაინტერესებული მხარეები არიან როგორც მისიწევრი მთავრობები,ისე სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ის სუბიექტები, რომლებიც მხარს უჭერენ OGP-ის პრინციპებსა და მისიას.

### შესავალი

საქართველო OGP-ს ოფიციალურად 2011 წლის საქართველო OGP-ს ოფიციალურად 2011 წლის აგვისტოში შეუერთდა, როდესაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, გრიგოლ ვაშაძემ, ქვეყნის OGP-ში გაწევრების განზრახვის თაობაზე განაცხადა.

OGP-ში გაწევრებისათვის მთავრობებმა ღია მმართველობისთვის გამოკვეთილი მზადყოფნა იმით უნდა გამოავლინონ, რომ უნდა აკმაყოფილებდნენ ღია მმართველობის მთავარი მიმართულებებით საქმიანობის ზოგიერთ მინიმალურ კრიტერიუმს, რომლებიც შედეგების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა მიღწეულ იქნეს მოსახლეობის საჭიროებებზე ხელისუფლების რეაგირება, მოქალაქეთა ჩართულობა და კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება. ქვემოთ მოცემულია OGP-ის გარდა არსებული სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ინდიკატორები, რომლებითაც დგინდება თითოეული მიმართულებით კონკრეტული ქვეყნის წინსვლის დონე, რომელიც ქულებით გამოიხატება. საქართველოს პირობები OGP-ში გაწევრებისას დასაშვებობის მინიმალურ მოთხოვნებს აღემატებოდა და იგი მაღალ შეფასებას აჩვენებდა თითოეულ კრიტერიუმში. გაწევრების დროს საქართველოს უმაღლესი ქულა (შესაძლო 2 ქულიდან 2) ჰქონდა ღია ბიუჯეტის კრიტერიუმში,[1] ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობის ხელმისაწვდომობის კრიტერიუმში[2] და მაღალი თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების კრიტერიუმში[3], ხოლო შესაძლო 10 ქულიდან 6,18- „ეკონომისტის" ანალიტიკური განყოფილების დემოკრატიის ინდექსის სამოქალაქო თავისუფლებათა საერთო შედეგის ელემენტში.[4]

OGP-ის წევრი ყველა მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს მისი ქვეყნისათვის განკუთვნილი სამოქმედო გეგმა, რომელშიც თავმოყრილი იქნება პირველ ორწლიან პერიოდზე გათვლილი კონკრეტული ვალდებულებები. მთავრობათა სამოქმედო გეგმები უნდა იწყებოდეს იმ ხუთ „დიდ გამოწვევასთან" დაკავშირებული ძალისხმევის გაზიარებით, რომელთა შორისაა ღია მმართველობის კონკრეტული სტრატეგიები და მიმდინარე პროგრამები (დიდი გამოწვევებისათვის იხ. IV განყოფილება). ამის შემდეგ სამოქმედო გეგმებში ასახული უნდა იყოს OGP-ის წინაშე თითოეული მთავრობის ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც ხელისუფლების საქმიანობას დიდი გამოწვევების კუთხით არსებული საწყისი ნიშნულიდან წინ წასწევს. ეს ვალდებულებები შეიძლება ეფუძნებოდეს არსებულ ძალისხმევას, ითვალისწინებდეს ახალ ნაბიჯებს მიმდინარე რეფორმების დასრულებისათვის ან სულაც სრულიად ახალ სფეროში მოქმედებას უდებდეს სათავეს.

საქართველომ OGP-ში გაწევრებული ქვეყნების პირველ ჯგუფთან ერთად 2012 წლის 1 აპრილამდე რამდენიმე თვეში შეიმუშავა საკუთარი ეროვნული სამოქმედო გეგმა. აპრილში წარდგენილი სამოქმედო გეგმა ოფიციალურად 2012 წლის 1 ივლისს ამოქმედდა და ის 2013 წლამდე უნდა განხორციელებულიყო. 2013 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით, საქართველოს მთავრობას თვითშეფასების ანგარიში არ გამოუქვეყნებია. OGP-ის გრაფიკის მიხედვით, ოფიციალურმა პირებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა 2014 წლის აპრილამდე უნდა გადახედონ თავდაპირველ გეგმას ან ახალი გეგმა უნდა შეიმუშაონ.

OGP-ის მოთხოვნების თანახმად, ქვეყნის პირველი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების შესაფასებლად OGP-ის ანგარიშგების დამოუკიდებელ მექანიზმს (IRM) გამოცდილი და დამოუკიდებელი ადგილობრივი მკვლევარ-პარტნიორი ჰყავს. საქართველოში IRM-ის პარტნიორი იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" უფროსი ანალიტიკოსი ლაშა გოგიძე-ამ ანგარიშის ავტორი. IRM-ის მიზანი OGP-ის წევრ თითოეულ ქვეყანაში სამომავლო ვალდებულებების შემუშავებისა და შესრულების თაობაზე მიმდინარე დიალოგის შევსება-გამდიდრება.

### ინსტიტუციური კონტექსტი

2011 წლის 20 სექტემბერს საქართველოს OGP-ში გაწევრების შემდეგ OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინირება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის ანალიტიკურ დეპარტამენტს, როგორც მთავარ პასუხისმგებელ უწყებას. იუსტიციის სამინისტროს, რომელიც საქართველოში კორუფციასთან ბრძოლისა და კანონის უზენაესობის, სამართლიანობისა და კარგი მმართველობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებელი ერთ-ერთი საკვანძო სამინისტროა, აქვს როგორც სათანადო ცოდნა-გამოცდილება, ისე საჭირო რესურსები და შესაძლებლობები, რათა აღნიშნული მაკოორდინირებელი ფუნქცია შეასრულოს. თუმცა,[5] 2011 წლის სექტემბრიდან მოყოლებული,

TOC

თითქმის ორი წლის განმავლობაში, საქართველოს არ წარმოუდგენია რაიმე ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა განმარტებული იუსტიციის სამინისტროს როლი სხვა სამინისტროებსა და უწყებებთან მიმართებით. გარდა ამისა, არც რომელიმე სხვა უწყებას დავალებია სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების გაკონტროლება. ამ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 9 ივლისს მიიღო განკარგულება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“.[6] ამ განკარგულებით OGP-ის მიმართ აღებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა რამდენიმე ძირითად უწყებას ოფიციალურად დაეკისრა, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტს მაკოორდინირებელი ფუნქციის შესრულება დაევალა, ხოლო ზედამხედველობისთვის პასუხისმგებელი მთლიანად საქართველოს მთავრობას.

## განმარტება მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით

IRM-ს ადგილებზე პარტნიორული ურთიერთობა აქვს გამოცდილ, დამოუკიდებელ მკვლევარ-ავტორებთან, რომელთა მეშვეობითაც დგება ანგარიშები და ისინი OGP-ის წევრ ყველა მთავრობას ეგზავნება. საქართველოში IRM-ის პარტნიორები არიან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და მისი უფროსი ანალიტიკოსი ლაშა გოგიძე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დამოუკიდებელი, საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირია. მისი ძირითადი მიზანია საქართველოს სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის პარალელურად კარგი მმართველობის, კანონის უზენაესობის, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნებისა და ადამიანის აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეწყობა.[7]

IRM-ის მკვლევარები ეროვნული მთავრობების მიერ წარდგენილ ორ ძირითად დოკუმენტს განიხილავენ: პირველ ეროვნულ სამოქმედო გეგმას და ამ სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის შესახებ მთავრობის მიერ გაკეთებულ თვითშეფასებას. საქართველოს შემთხვევაში მკვლევარმა მხოლოდ სამოქმედო გეგმა განიხილა,[8] რადგან მთავრობას თვითშეფასების დოკუმენტი არ გამოუქვეყნებია. ეს ანგარიში განიხილესP OGP-ის თანამშრომლებმა და ექსპერტთა ჯუფმა. სხვადასხვა დაინტერესებული მხარის შეფასებების თავმოყრისათვის ლაშა გოგიძემ თბილისში ორგანიზება გაუწია ორ ფორუმს, რომლებშიც დაინტერესებული მხარეები მონაწილეობდნენ და რომლებიც ფოკუსჯგუფის მოდელის მიხედვით გაიმართა. მოცემულ ანგარიშში ამ წყაროებზე მრავალ მითითებას შეხვდებით, დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრების ანოტაციები და უფრო დეტალური განმარტებები კი დანართშია მოცემული.

---

1 „ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა“, „ღია ბიუჯეტები ცვლიან ცხოვრებას“ (ვაშინგტონი, „ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა“, 2012), http://bit.ly/V5dcPl
2 http://bit.ly/1hT9ANZ
3 სიმეონ ჯანკოვი, რაფაელ ლა პორტა, ფლორენციო ლოპეზ–დე–სილანესი და ანდრეი შლაიფერი, „პოლიტიკოსების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია“ (ტაკის ბიზნესის სკოლის სამუშაო კვლევა 2009–60, 2009). http://bit.ly/19nDEfK ; „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“, „ინფორმაციის ტიპები, რომლის გამოქვეყნებაც ევალებათ გადაწყვეტილების მიმღებებს, და გამჭვირვალობის დონე“, ციტირებულია „მთავრობა ერთი შეხედვით 2009“, („ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“, 2009). http://bit.ly/13vGtqS; რიჩარდ მესიკი, „შემოსავლებისა და ქონების მონაცემთა გამოქვეყნება მსოფლიო ბანკის წევრი ქვეყნების მიერ“ (ვაშინგტონი: მსოფლიო ბანკი, 2009). http://bit.ly/1clokyf
4 „ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილება, „2010 წლის დემოკრატიის ინდექსი: დემოკრატია უკან იხევს“ (ლონდონი: „ეკონომისტი“, 2010). http://bit.ly/eLC1rE E
5 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, http://justice.gov.ge/.
6 ნატა ძველიშვილი, „რეკომენდაციები პრემიერმინისტრს უწყებების გამჭვირვალობის შესახებ“, M Media.ge 2013 წლის 11 თებერვალი, http://www.media.ge/ge/portal/news/124/; საქართველოს მთავრობის განკარგულება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“, 2013 წლის 9 ივლისი, http://bit.ly/1ajPoPA
7 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, წესდება, http://bit.ly/1hjJLWo
8 http://bit.ly/1akLQj6

TOC

# II | პროცესი: სამოქმედო გეგმის შემუშავება

OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას საქართველოს მთავრობამ ვერ მოახერხა, შეესრულებინა OGP-ის სახელმძღვანელო დებულებების მოთხოვნები. OGP-ის წევრი ქვეყნები OGP-ის საკუთარი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას კონსულტაციებისათვის დადგენილ პროცედურებს იცავენ. OGP-ის სახელმძღვანელო დებულებების თანახმად, ქვეყანამ:

- კონსულტაციების დაწყებამდე უნდა გაასაჯაროოს მისი საჯარო კონსულტაციების დეტალები და ვადები (სულ ცოტა ონლაინ რეჟიმში);
- უნდა მიიღოს რჩევები ფართო საზოგადოებისაგან მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებისაგან და კერძო სექტორისაგან; უნდა მოისმინოს აზრთა რაც შეიძლება მრავალფეროვანი სპექტრი; უნდა შეაჯამოს საჯარო კონსულტაციები და ონლაინ რეჟიმში წარდგენილი ყველა ინდივიდუალური წერილობითი კომენტარი;
- კონსულტაციებში საზოგადოების უფრო აქტიურად ჩართვისათვისუნდა განახორციელოს OGP-ის საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
- მოსახლეობასთან კონსულტაციები უნდა აწარმოოს საკმარისი შუალედის დაცვით წინასწარი გაფრთხილების გათვალისწინებით და სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით, მათ შორის, ონლაინ რეჟიმში და პირისპირ შეხვედრების გზით, რათა მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფილი იყოს ჩართულობის შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.

OGP-ის სახელმძღვანელო დებულებები კონსულტაციებისათვის კიდევ ერთ, მეხუთე მოთხოვნას ადგენს. ეს მოთხოვნა ჩამოყალიბებულია III განყოფილებაში: „პროცესი: კონსულტაციები განხორციელების პერიოდში“.

OGP-ის განხორციელების საკითხებზე მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით კონსულტაციების ჩასატარებლად ქვეყნებმა უნდა ჩამოაყალიბონ ფორუმი– ეს შეიძლება იყოს არსებული ან ახალი სუბიექტი. აღნიშნული საკითხი შემდეგ განყოფილებაში განიხილება, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის აქ და 1-ლ ცხრილში ჩავრთეთ კონსულტაციების ფაქტები როგორც შესრულების წინა, ისე შესრულების პერიოდში.

### წინასწარი შეტყობინება კონსულტაციების თაობაზე

სამოქმედო გეგმის მიღებამდე საქართველოს მთავრობა, OGP-ის კონსულტაციების დროს სახელმძღვანელო დებულებების შესაბამისად, ვალდებული იყო, OGP-ის საკითხებში ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერება აემაღლებინა, სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით, აქტიურად ეწარმოებინა კონსულტაციები მრავალ დაინტერესებულ მხარესთან და წინასწარ გაესაჯაროებინა საჯარო კონსულტაციების ჩატარებისა და ვადების დეტალები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო კონსულტაციების შეჯამებული ვარიანტებისა და საჯარო კონსულტაციებზე გაკეთებული ყველა წერილობითი კომენტარის გამოქვეყნება.[1] 1-ლ ცხრილში თავმოყრილია OGP-ის სამოქმედო გეგმის

**ცხრილი 1. სამოქმედო გეგმის მიმდინარეობისკითხვარი**

| მოქმედების ფაზა | OGP -ის მიმდინარეობის მოთხოვნები(წესდების თავი) | შეასრულა მთავრობამ ეს მოთხოვნა? |
|---|---|---|
| შემუშავების პროცესში | ვადები და მიმდინარეობა: წინასწარი ხელმისაწვდომობა | არ არსებობს |
| | ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები | არ არსებობს |
| | ონლაინ კონსულტაცია | არ არსებობს |
| შესრულების პროცესში | პერსონალური კონსულტაციები | არის |
| | კომენტართა შეჯამება | არ არსებობს |
| | რეგულარული ფორუმი | არის |

TOC

მიმდინარეობის მოთხოვნები. საქართველოს მთავრობამ ვერ მოახერხა ამ მოთხოვნების შესრულება. მან საჯარო კონსულტაციები გვიან დაიწყო, ისე, რომ წინასწარ არც შესაბამისი განრიგი და ვადები გამოუქვეყნებია და არც ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები განუხორციელებია. საწყის ეტაპზე ხელისუფლებამ კონსულტაციები მხოლოდ ორ ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთან“ და „თავისუფლების ინსტიტუტთან“ –გამართა. გარდა ამისა, მთავრობას არ გამოუქვეყნებია კონსულტაციების დროს გაკეთებული საჯარო კომენტარის შეჯამებული ვარიანტი და არ განუხილავს, თუ რამდენად უპასუხებდა სამოქმედო გეგმის კონკრეტული ვალდებულებები ამ კომენტარს.[2]

## კონსულტაციების ხარისხი და მასშტაბები

სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად ხელისუფლება არასამთავრობო ორგანიზაციების მცირე ჯგუფს დაეყრდნო. 2011 წლის 14 ნოემბერს იუსტიციის სამინისტრო და საგარეო საქმეთა სამინისტრო „საერთაშორისო გამჭვირვალობა – – საქართველოს“ დაუკავშირდნენ და საქართველოს OGP–ის სამოქმედო გეგმაზე საკუთარი აზრის გამოხატვა სთხოვეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – – საქართველოსა“ და „თავისუფლების ინსტიტუტთან“ გამართულ შეხვედრაზე იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა პირმა ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს მთავრობის სამოქმედო გეგმა და მისი შემუშავების ვადები გააცნეს. სამოქმედო გეგმაში ასახული ვალდებულებები ახალი არ იყო. იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის თქმით, საქართველოს OGP–ის ვალდებულებები ეფუძნებოდა ქვეყნის არსებულ ანტიკორუფციულ რეფორმებს, რომელთა მიზანიც მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა იყო.[3] იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა იმ ინფორმაციის წინასწარი ჩამონათვალი წარმოადგინა, რომელიც საქართველოს ყველა საჯარო უწყებას 2013 წლის 1 სექტემბრიდან პროაქტიულად უნდა გამოექვეყნებინა თავის ვებგვერდზე. ჩამონათვალში შედიოდა ინფორმაცია უწყების სტრუქტურის, ბიუჯეტის, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების, თანამშრომელთა მოვალეობების შესახებ. ის ასევე მოიცავდა შესაბამის სრულ საკანონმდებლო ბაზას, სტრატეგიულ დოკუმენტებს და ინფორმაციას ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, საჯარო უწყებები ვალდებული იყვნენ, გაესაჯაროებინათ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის პასუხისმგებელ პირთა საკონტაქტო ინფორმაცია.[4]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსა“ და „თავისუფლების ინსტიტუტთან“ უშუალოდ წარმოებული კონსულტაციების შემდეგ ვებგვერდიც შეიქმნა, სადაც განთავსდა ზოგადი ინფორმაცია OGP–ის შესახებ და სამოქმედო გეგმის პროექტი. თუმცა არ მოხდა ამ ვებგვერდის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა და იგი არც ონლაინ კონსულტაციებისთვის გამოყენებულა, როგორც ამას OGP–ის სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს; შედეგად, კონსულტაციები შეზღუდული და ცალმხრივი იყო. 2011 წლის 18 ნოემბერს იუსტიციის სამინისტრომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ OGP–ის სამოქმედო გეგმის პირველი პროექტი გამოუგზავნა კომენტირებისათვის. გეგმის ერთგვერდიანი პროექტი შეიცავდა 2010 წლის „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმიდან“ ამონარიდებს (მაგალითად, საჯარო მომსახურების გაუმჯობესების, სახელმწიფო ხარჯების გამჭვირვალობის, კერძო სექტორის მიერ საქმიანი ეთიკის პრინციპების დაცვის თაობაზე). OGP–ის არცერთი კონკრეტული ვალდებულება მასში ასახული არ იყო. იმ პირობებში, როდესაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კომენტირებისათვის ერთი კვირა ეძლეოდა, მან აღნიშნული პროექტი იუსტიციის სამინისტროსთან გამართული შეხვედრის ამსახველ სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთადამ სფეროში აქტიურად მომუშავე ორ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციას –„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსა“ და „ჯამპსტარტ ჯორჯიას“ – გაუგზავნა.[5] ამ ორგანიზაციებისაგან მიღებული კონსულტაციების შემდეგ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პროექტის შესახებ თავისი წინასწარი კომენტარი იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნა და სთხოვა მას, პროექტიდან ამოეღო ყველა მანამდე არსებული პუნქტი და დაემატებინა ახალი პუნქტები ღია მონაცემებსა და საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით.[6]

2011 წლის 27 ნოემბერს იუსტიციის სამინისტრომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ OGP–ის სამოქმედო გეგმის მეორე პროექტი გამოუგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო ორგანიზაციას შენიშვნების მიწოდებას სთხოვდა, მეორე სამოქმედო გეგმაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – – საქართველოს“ შენიშვნები არ ასახულა.[7] პროექტი იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდის სპეციალურად შექმნილ განყოფილებაში გამოქვეყნდა. პროექტს ერთვოდა OGP–ის მოკლე აღწერა და ძირითადი მიზნები. იმ დროისათვის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“, და „ჯამპსტარტ ჯორჯიას“ ძალისხმევით, საქართველოში OGP–ის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ შეიტყვეს სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებმა, რომლებმაც გამოხატეს სურვილი და მზადყოფნა, ჩართულიყვნენ კონსულტაციებში.

შესაბამისად, 2011 წლის დეკემბერში შედგა OGP–ის პირველი განხილვა მედია კოალიციის შეხვედრაზე, რომელიც 2011 წლის აპრილში დაარსდა და დაახლოებით 10 ორგანიზაციასა და მედიის თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების დამცველ ექსპერტებს აერთიანებს. კოალიციაში შედიოდნენ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და „ჯამპსტარტ ჯორჯიას“ წინამძღოლობით. ამ კოალიციის

TOC

ფარგლებში შემდგარი კონსულტაციების შედეგად, საქართველოს OGP-ის სამოქმედო გეგმის პროექტის გასაუმჯობესებლად ერთობლივი რეკომენდაციების ნუსხა შემუშავდა. ეს რეკომენდაციები მოიცავდა შემდეგს:

- ინფორმაციის ელექტრონული სახით გამოთხოვისა და პროაქტიულად გამოქვეყნების კანონით სავალდებულოობა ყველა სახელმწიფო უწყებისათვის;
- საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- კანონების მიღების წინარე (ან კანონშემოქმედების)პროცესში მეტი მოქალაქის ჩართვა;
- ბიუჯეტის დაგეგმვისა და სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ყველა საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ღია ფორმატებში ინტეგრირებისათვის ონლაინ პლატფორმების შექმნა;
- მოქალაქეებისათვის საკუთარი მოსაზრების, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ან ელექტრონული მიმართვის პირდაპირ მთავრობისათვის წარდგენის საშუალების მიცემა.[8]

იუსტიციის სამინისტრომ პირობა დადო, რომ OGP-ის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტში ამ რეკომენდაციათა უმეტესობას გაითვალისწინებდა, და მან ეს პირობა შეასრულა.

2012 წლის მარტში იუსტიციის სამინისტრომ ექვს ქალაქში – თელავში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში –მოსაწყობ საჯარო განხილვათა განრიგი გამოაქვეყნა.[9] ამ საკონსულტაციო შეხვედრათა უმეტესობა უნივერსიტეტებსა და სკოლებში გაიმართა. ერთ-ერთ ამგვარ შეხვედრას, რომელიც 2012 წლის16 მარტს შედგა თბილისში, თავისუფალ უნივერსიტეტში, IRM-ის მკვლევარიც ესწრებოდა. შეხვედრას იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი და იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი იურიდიული მრჩეველი უძღვებოდნენ. მათ მთავრობის OGP-ის სამოქმედო გეგმის მთავარი პრიორიტეტები წარმოადგინეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს შეხვედრის მიზანი სამოქმედო გეგმაზე მსჯელობა და მის შესახებ საზოგადოების მოსაზრებების წარმოდგენა კი არ იყო, არამედ მთავრობის უკვე არსებული გეგმის წარდგენა. მაგალითად, IRM-ის მკვლევარის მიერ დასმულ კითხვაზე, აპირებდა თუ არა იუსტიციის სამინისტრო კონსულტაციების შედეგად მიღებული საჯარო კომენტარის ონლაინ რეჟიმში გამოქვეყნებას, ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ისინი ამის გაკეთებას არ აპირებდნენ.[10]

გარდა იმისა, რომ IRM-ის მკვლევარი დაესწრო ამ ექვსი საჯარო შეხვედრიდან ერთს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ კონსულტაციების პროცესზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოსაზრებების აღსანუსხად კითხვარი მოამზადა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი კრიტიკული მოსაზრებები ჰქონდათ საქართველოში OGP-ის თაობაზე მიმდინარე კონსულტაციების პროცესთან დაკავშირებით. მათი აზრით, ხელისუფლების თავდაპირველი გადაწყვეტილება, კონსულტაციებში თითო-ოროლა არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო, არასწორი იყო. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ასევე მიაჩნდათ, რომ მოგვიანებით, სამოქმედო გეგმის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე, აკადემიური და ბიზნეს წრეების წარმომადგენლებთან იუსტიციის სამინისტროს მიერ გამართული შეხვედრები ფორმალობას უფრო ჰგავდა, ვიდრე მნიშვნელოვანი კონსულტაციებისათვის მოწყობილ ფორუმებს. ამ შეხვედრებზე იუსტიციის სამინისტრო უბრალოდ მზა გეგმას წარმოადგენდა და არ აპირებდამის ადაპტირებას საზოგადოებისგან შემოსული შენიშვნებიდან და მოსაზრებებიდან გამომდინარე. ამის შედეგად, OGP-ის სულისკვეთების საპირისპიროდ, კონსულტაციების მთელი პროცესი ექსკლუზიურობის, სპონტანურობისა და ფრაგმენტულობის ნიშნით მიმდინარეობდა.

---

1 ღია მმართველობის პარტნიორობა, ვალდებულებები, http://bit.ly/KWtHhQ
2 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ღია მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“, 2012 წლის დეკემბერი, http://bit.ly/1dqB9hL
3 იქვე, http://bit.ly/1dqB9hL
4 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სამთავრობო ვებგვერდებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი თავდაპირველი ინფორმაციის ნუსხა, 2011 წლის 16 ნოემბერი, http://bit.ly/1gi4adl
5 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს OGP-ის სამოქმედო გეგმის პირველი პროექტი, 2011 წლის 18 ნოემბერი, http://bit.ly/1az338l
6 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, წინასწარი შენიშვნები საქართველოს OGP-ის სამოქმედო გეგმის პროექტზე, http://bit.ly/1az338l
7 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს OGP-ის სამოქმედო გეგმის მეორე პროექტი, 2011 წლის 27 ნოემბერი, http://bit.ly/1az338l
8 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შენიშვნები საქართველოს OGP -ის ვალდებულებების პროექტზე, 2012 წლის 4 თებერვალი, http://bit.ly/1az338l
9 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოში ჩასატარებელი OGP-ის საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი, 2012 წლის 7 მარტი, http://bit.ly/1az338l
10 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ღია მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“ (http://bit.ly/1dqB9hL).

TOC

# III | პროცესი: კონსულტაციები განხორციელების პერიოდში

სამოქმედო გეგმის განხორციელების დროს კონსულტაციების პროცესი, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის დონეზე წარიმართა; მაგრამ ამ ფორუმმა ვერ მოახერხა სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინირება. OGP-ის წევრობა მთავრობებს სხვა ვალდებულებებთან ერთად ავალებს, ჩამოაყალიბონ ფორუმი, რომელიც მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით რეგულარულად განიხილავს OGP-ის განხორციელებას – ეს შეიძლება იყოს არსებული ან ახალი სუბიექტი. ამ განყოფილებაში სწორედ ეს ინფორმაციაა შეჯამებული.

## კონსულტაციების პროცესი

როგორც წინა განყოფილების 1-ლ ცხრილშია მითითებული, სამოქმედო გეგმის განხორციელებისას მთავრობამ რეგულარული ფორუმი შექმნა. 2012 წლის 5 აპრილს იუსტიციის სამინისტრომ თავის ვებგვერდზე OGP-ის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტი გამოაქვეყნა.[1] გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრომ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინიციატივით, სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე მუშაობის რეგულარული მაკოორდინირებელი მექანიზმის სახით არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი დააარსა. ფორუმის შეხვედრები თვეში ერთხელ იმართებოდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში, იუსტიციის სამინისტროს შენობაში. ფორუმის მუშაობაში მისი წევრების რანგში მონაწილეობდნენ ის ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული წინასწარი კონსულტაციების პროცესში ან OGP-ით დაინტერესებას გამოხატავდნენ. ეს ორგანიზაციებია:

- საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI);
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია);
- მედიაკოალიცია;
- კოალიცია ევროპული საქართველოსთვის;
- ნიუ ვიჟენ ჯორჯია (New Vision Georgia);
- ჯამპსტარტ ჯორჯია (JumpStart Georgia);
- აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).[2]

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმმა ვერ მოახერხა სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინირება. ჯერ ერთი, ფორუმს არ ჰქონდა წესდება ან უფლებამოსილებათა მანდატი, რომელიც მისი წევრებისათვის წესებსა და პროცედურებს დაადგენდა. მეორეც, ფორუმს არ ჰყავდა თავმჯდომარე ან მდივანი, რომელიც შეხვედრებს წარუძღვებოდა. შესაბამისად, არც შეხვედრების ოქმები შემდგარა. ფორუმის წევრები კითხვებს სვამდნენ და დისკუსიების სტიმულირებას ახდენდნენ, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები კი ფორუმს იმისთვის იყენებდნენ, რომ უბრალოდ OGP-ის კუთხით წინა პერიოდებში მომხდარი მოვლენების შესახებ მოეხსენებინათ.[3] საერთო ჯამში, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმს გადაწყვეტილების მიღებაზე რაიმე რეალური გავლენა არ მოუხდენია და ამიტომ დაინტერესებულმა მხარეებმა მისი რეფორმირების საკითხი დააყენეს. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იუსტიციის სამინისტროს ფორუმის შეხვედრები აღარ გაუმართავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ახალი, უფრო ეფექტიანი საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბებას აპირებდა, ამ კვლევის შეფასების პერიოდში რაიმე ქმედითი ალტერნატივა არ შექმნილა.[4]

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, OGP-ის სამოქმედო გეგმა, http://bit.ly/1dKRyIL
[2] USAIDD, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ორგანო, „არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის“ მონაწილედ საქართველოს მთავრობამ შეარჩია. მთავრობამ U USAID-ის ფორუმში ჩართვა იქიდან გამომდინარე გადაწყვიტა, რომ ის OGP-ით დაინტერესებული და ხელშემწყობი მთავარი დონორია.
[3] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ღია მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“, http://bit.ly/1dqB9hL
[4] მხოლოდ 2013 წლის დეკემბერს შეიმუშავა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ წესდება ახალი ფორუმისთვის. განახლებული ფორუმის პირველი შეხვედრა 2014 წლის 15 იანვარს შედგა.

# IV | ვალდებულებების შესრულება

OGP-ის წევრი ყველა მთავრობა შეიმუშავებს თავისი ქვეყნის OGP-ის სამოქმედო გეგმას, რომელიც პირველ ორწლიან პერიოდზე გათვლილ კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავს. თითოეული მთავრობა საკუთარი ქვეყნის OGP-ის სამოქმედო გეგმას მის მიერ არჩეულ დიდ გამოწვევასთან/გამოწვევებთან დაკავშირებული ძალისხმევის გაზიარებით იწყებს. ამ გამოწვევათა შორის შეიძლება იყოს ღია მმართველობის კონკრეტული სტრატეგიები და მიმდინარე პროგრამები. ამის შემდეგ სამოქმედო გეგმაში აისახება OGP-სთან მიმართებით მთავრობის ვალდებულებები, რომლებიც მთავრობის საქმიანობას შესაბამის სტრატეგიულ სფეროში არსებული საწყისი ნიშნულიდან წინ წასწევს. ეს ვალდებულებები შეიძლება არსებულ ძალისხმევას ემყარებოდეს, მიმდინარე რეფორმების დასასრულებლად ახალ ზომებს გულისხმობდეს, ან სულაც სრულიად ახალ სფეროში ახალ წამოწყებას ნიშნავდეს.

OGP-ის ვალდებულებები მთავრობის წინაშე მდგარი ხუთი „დიდი გამოწვევის“ ირგვლივ უნდა იყოს აგებული. OGP აღიარებს, რომ ყველა ქვეყანას საკუთარი, განსხვავებული საწყისი ნიშნული აქვს. თითოეულმა ქვეყანამ თავად უნდა აირჩიოს ის დიდი გამოწვევები და მათთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც ყველაზე უკეთ მიესადაგება მის სპეციფიკას. დაუშვებელია სამოქმედო გეგმის, სტანდარტისა თუ კონკრეტული ვალდებულების რომელიმე ქვეყნისათვის თავსმოხვევა. OGP-ის ხუთი დიდი გამოწვევაა:

1. **საჯარო მომსახურების გაუმჯობესება**–ზომები, რომლებიც სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების ან კერძო სექტორში სიახლეების დანერგვის ხელშეწყობას გულისხმობს და მოქალაქეთა მომსახურების სრულ სპექტრს მოიცავს, მათ შორის, ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ჯანდაცვა, განათლება, სისხლის სამართალწარმოება, წყალმომარაგება, ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, სატელეკომუნიკაციო მომსახურებადა მომსახურების ყველა სხვა მნიშვნელოვანი სფერო;
2. **საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება**– ზომები, რომლებიც ისეთი საკითხებისკენ არის მიმართული, როგორებიცაა კორუფცია და საზოგადოებრივი ეთიკა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეფორმადა მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლება;
3. **სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა**– ზომები, რომლებიც ბიუჯეტს, შესყიდვებს, ბუნებრივ რესურსებსა და საგარეო დახმარებას ეხება;
4. **უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა**–ზომები, რომლებიც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისკენ, კატასტროფების, კრიზისული სიტუაციებისა და გარემოს საფრთხეებისკენაა მიმართული;
5. **კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა**– ზომები, რომლებიც ეხება კორპორაციულ პასუხისმგებლობას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გარემოს დაცვა, კორუფციასთან ბრძოლა, მომხმარებელთა დაცვა და საზოგადოების ჩართულობა.

გარდა იმისა, რომ კონკრეტული ვალდებულება ნებისმიერი დიდი გამოწვევის შემთხვევაში მოქნილი უნდა იყოს და თითოეული ქვეყნის სპეციფიკასთან მორგების საშუალებას უნდა იძლეოდეს, OGP-ის ყველა ვალდებულება ასევე უნდა ასახავდეს ღია მმართველობის ოთხ ძირითად პრინციპს:

- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**– ხელისუფლების საქმიანობისა და გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია არის ღია, სრულყოფილი, დროული, საზოგადოებისათვის თავისუფლად ხელმისაწვდომი და მონაცემთა ღიაობის ძირითად სტანდარტებს (მაგალითად, პირველადი მონაცემების, კომპიუტერზე კითხვადობის) აკმაყოფილებს;
- **მოქალაქეთა ჩართულობა**– მთავრობები ცდილობენ, მოახდინონ მოქალაქეთა მობილიზება, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებში, წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები და საკუთარი წვლილი შეიტანონ უფრო ყურადღებიანი, ინოვაციური და ეფექტიანი მმართველობის დანერგვაში;
- **ანგარიშვალდებულება**– მოქმედებს წესები, რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდებს, დაასაბუთონ თავიანთი ქმედებები, რეაგირება მოახდინონ კრიტიკაზე ან მათთვის წაყენებულ მოთხოვნებზე დაიღონ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების ან აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;
- **ტექნოლოგიები და ინოვაცია**– მთავრობებს გაცნობიერებული აქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეთათვის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის თავისუფლება, რა როლს ასრულებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ინოვაციის ხელშეწყობაში და რა მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით მოქალაქეთა უნარის გაძლიერებას.

ქვეყნებმა ვალდებულებების კონცენტრირება შეიძლება მოახდინონ ნაციონალურ, ადგილობრივ ან/ და სუბნაციონალურ დონეზე, ანუ იქ, სადაც, მათი აზრით, ღია მთავრობის ძალისხმევა მაქსიმალურ

TOC

შედეგს გამოიღებს. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ღია მმართველობის ვალდებულებების შესრულება ხშირად მრავალწლიან პროცესს გულისხმობს, მათ საკუთარი ვალდებულებებისთვის უნდა განსაზღვრონ ვადები და სტანდარტები, რომლებიც მიუთითებს, რა არის განსახორციელებელი ყოველ წელს და ყველგან, სადაც კი შესაძლებელია. ამ განყოფილებაში დაწვრილებით განვიხილავთ თითოეულ ვალდებულებას, რომელიც საქართველომ თავდაპირველ სამოქმედო გეგმაში შეიტანა. საქართველოს OGP-ის სამოქმედო გეგმა შედგება ექვსი ძირითადი ვალდებულებისაგან და ცხრა ქვევალდებულებისაგან, რომლებიც ხუთ თემატურ ჯგუფადაა დაყოფილი: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, უკეთესი ჯანდაცვა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, ხარჯვის ეფექტიანობის მისაღწევად ინოვაციის დანერგვა და უსაფრთხოების ტექნოლოგიები.

ზოგიერთ ვალდებულებას მხოლოდ ერთი მიღწევა აღენიშნება, ზოგს – რამდენიმე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიღწევები ერთადაა შეფასებული მონაცემთა ერთ გრაფაში, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული გამეორება და მასალა OGP-ით დაინტერესებული პირებისათვის ადვილად გასაცნობი გაგვეხადა. თუმცა თითოეული ვალდებულების ამსახველ მონაცემთა გრაფაში განთავსებულ მაჩვენებელთა უმეტესობა თვითგანმარტებას ექვემდებარება, ზოგი ინდიკატორი კი თითოეული ვალდებულების შემთხვევაში დამატებით განმარტებას საჭიროებს.

- მიმართება: IRM-ის მკვლევარმა თითოეული ვალდებულება OGP-ის ღირებულებებთან და OGP-ის დიდ გამოწვევებთან მისი მიმართების მიხედვით შეაფასა.
  - OGP-ის ღირებულებები: გაურკვეველია, როგორია OGP-ის ზოგიერთი ვალდებულების მიმართება OGP-ის ღირებულებებთან. ამგვარი შემთხვევების დასადგენად IRM-ის მკვლევარმა დასკვნა ვალდებულების ტექსტის დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოიტანა. ამ გზით დგინდება ვალდებულებები, რომლებიც უკეთ გამოხატავს ღიაობის ფუნდამენტურ საკითხებთან მათ მიმართებას.
  - დიდი გამოწვევები: თუმცა გარკვეული ვალდებულებები ერთზე მეტ დიდ გამოწვევასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, ანალიტიკოსმა მხოლოდ ის ვალდებულებები აღნიშნა, რომლებიც მთავრობამ გამოკვეთა (რადგან თითქმის ყველა ვალდებულება რომელიმე დიდ გამოწვევას უკავშირდება).
- მისწრაფება:
  - პოტენციური შედეგი: OGP-ისწევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ ამბიციური ვალდებულებების აღება(ახალი ან ადრე არსებული აქტივობებით), რომლებიც მთავრობის საქმიანობას არსებული საწყისი დონიდან მნიშვნელოვნად წინ წასწევს. მისწრაფების ფართო განმარტებისათვის IRM-ის მკვლევარმა გააანალიზა, პოტენციურად რამდენად ტრანსფორმირებადი შეიძლება იყოს ვალდებულება კონკრეტული პოლიტიკის სფეროში. ამას მკვლევარი ანალიზის შედეგებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ექსპერტის რანგში მუშაობის შედეგად დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე აკეთებს.
  - ახალი თუადრე არსებული: IRM-ის მკვლევარმა, მიკერძოების გარეშე, ასევე დააფიქსირა, ეფუძნებოდა თუ არაცალკეული ვალდებულებები სამოქმედო გეგმის მიღებამდე არსებულ რაიმე ქმედებას.
- ვადები:
  - დასრულების პროგნოზირება: OGP-ის სახელმძღვანელო დებულებები ქვეყნებს მოუწოდებს, ისეთი ვალდებულებები აიღონ, რომლებსაც ექნება მკაფიო საბოლოო შედეგები სავარაუდო წლიური მიღწევებით. ამ ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში IRM-ის მკვლევარი გადაწყვეტილებას იმ ფაქტების საფუძველზე იღებს, რომლებიც მიუთითებს, რამდენად წინ წაიწევდა კონკრეტული ვალდებულება შეფასების პერიოდის დასასრულს.

TOC

## 1 | მომავლის საჯარო სამსახური

## 1.1. იუსტიციის სახლი – სახელმწიფო სერვისების ცენტრი

*2011 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო განხორციელება ახალი კონცეფციისა– იუსტიციის სახლისა([www.house.gov.ge](http://www.house.gov.ge)), რომელიც ეფუძნება იდეას „ყველაფერი ერთ სივრცეში“. თუმცა უკვე ფუნქციონირებდა ერთი ფანჯრის პრინციპით მოქმედი ახალი და რეფორმირებული უწყებები, ისინი მაინც ცოტა იყო– სულ რამდენიმე. რამდენიმე ამგვარი დაწესებულება კი მოქალაქისათვის, ფაქტობრივად, მრავალ გაჩერებასა და დაკარგულ დროს ნიშნავდა. ამიერიდან მხოლოდ ერთი გაჩერება იარსებებს: იუსტიციის სახლი. ამ მოდელის აგებისას არქიტექტორებმა ინტენსიურად გამოიყენეს სხვადასხვა ბიზნესმიდგომა, რომლებიც არსებით როლს ასრულებს სწრაფი, ეფექტიანი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფაში. სერვისების 215 ცალკე აღებული ატრიბუტი და პროცედურა გაანალიზდა, დეტალურად აღიწერა, განახლდა და შეძლებისდაგვარად ერთმანეთს დაუკავშირდა. საქართველოს მთავრობას მიაჩნია, რომ საჯარო მომსახურება კერძო მომსახურებისაგან პრინციპულად არ უნდა განსხვავდებოდეს და თანაბრად უნდა ამახვილებდეს ყურადღებას სიმარტივეზე, სიჩქარესა და ხარისხზე. იუსტიციის სახლი ადამიანებს (როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე უცხოელებს) მისცემს საშუალებას, ერთ ჭერქვეშ მიიღონ სახელმწიფოსაგან ნებისმიერი სახის მომსახურება, მათ შორის: პირადი დოკუმენტები (პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა და პასპორტი), ბიზნესის ან ქონების რეგისტრაცია, სანოტარო მომსახურება, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება. მალე იუსტიციის სახლში შესაძლებელი იქნება ასევე მართვის მოწმობის აღება, მანქანის რეგისტრაცია და მუნიციპალური და შემოსავლების სამსახურის სერვისების მიღება. ამჟამად შემუშავების პროცესში მყოფი ორი ახალი იდეა კარგად ნათელყოფს მთავრობის დამოკიდებულებას საჯარო მომსახურების გამარტივებისადმი. ეს პროექტებია: „მანქანაშივე“(Just Drive) და „კაფეშივე(“Just Café). 2012 წლის სექტემბრიდან თბილისის იუსტიციის სახლის კლიენტები შეძლებენ, ავტომანქანიდან გადმოუსვლელად ან კაფეში გამაგრილებელი სასმელებით თავის შექცევისას მიიღონ დოკუმენტი ან მომსახურება.*

*ვადები: ამჟამად იუსტიციის სახლი ოთხ ქალაქში ფუნქციონირებს. 2012 წელს უნდა გაიხსნას კიდევ რვა იუსტიციის სახლი (მათ შორის, დედაქალაქში), დანარჩენი ოთხის გახსნაკი უკვე მომდევნო, 2013 წლისთვის არის დაგეგმილი. ვალდებულება ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში16 იუსტიციის სახლის გახსნას ითვალისწინებს.*

*პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

| ვალდებულების აღწერა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ანგარიშვალდებულება** | **წამყვანი დაწესებულება** | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | | | |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობები არ მოიპოვება | | | |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა | | | |
| **სპეციფიკა და გაზომვადობა** | | მაღალი (ვალდებულების ტექსტი ნათლად აყალიბებს დასახული ამოცანის შესასრულებლად მკაფიო, გაზომვად, დადგენად მიღწევებს) | | | |
| **მიმართება** | **OGP–ის დიდი გამოწვევები** | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| | **OGP–ის ღირებულებები** | | | | |
| | **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** | **მოქალაქეთა ჩართულობა** | **ანგარიშვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** |
| | ✘ | | | | |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრეარსებული**<br>ადრეარსებული | **პოტენციური შედეგი**<br>არცერთი (ვალდებულებას სტატუს–კვოს ინარჩუნებს) |

TOC

**დასრულების დონე**
**მიღწევა 1. 2013 წლისათვის კიდევ რამდენიმე იუსტიციის სახლი გაიხსნება**

| დაწყების თარიღი: 2012წ | დასრულების თარიღი: 2013წ | ფაქტობრივი დასრულება / დაგეგმილი დასრულება | არ დაწყებულა · შეზღუდული · არსებითი · დასრულებული |
|---|---|---|---|

**შემდგომი ნაბიჯები**

ვალდებულების ტექსტის ხელახლა ფორმულირება იმგვარად, რომ მასში გაზრდილი იყოს მოქალაქეთა ჩართულობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ანგარიშვალდებულება

## რა მოხდა?

ეს ვალდებულება, რომელიც დროში წინ უსწრებდა საქართველოს OGP–ის სამოქმედო გეგმას, მთავრობამ უკვე არსებითად დაასრულა. რამდენადაც ეს მანამდე არსებული ვალდებულება იყო, მისი შესრულების პროცესის საწყის ეტაპზე ოთხი იუსტიციის სახლი ფუნქციონირებდა. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, 2012 წელს კიდევ რვა იუსტიციის სახლის გახსნა იყო დაგეგმილი. შეფასების პერიოდში ქვეყნის მასშტაბით 12 იუსტიციის სახლი ფუნქციონირებდა: ბათუმში, რუსთავში, მესტიაში, ქუთაისში, ოზურგეთში, გურჯაანში, ყვარელში, თელავში, მარნეულში, გორში, ახალციხესა და თბილისში. ეს იუსტიციის სახლები ყოველდღიურად დაახლოებით 16 000 მოქალაქეს უწევენ 300–ზე მეტ სხვადასხვა მომსახურებას.[2] ამასთან მთავრობამ (Just Café) პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ საჯარო მომსახურებით მაშინ როდესაც ისინი იუსტიციის სახლის კაფეში ისვენებენ. 2013 წლის ბოლოსათვის მთავრობა გეგმავდა კიდევ ერთი იუსტიციის სახლის გახსნას ზუგდიდში და „მანქანაშივე“(Just Drive) პროექტის დანერგვას, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები მანქანიდან გადმოუსვლელად შეძლებდნენ საჯარო მომსახურების მიღებას.[3] მაგრამ რადგან ხელისუფლებამ არ გამოაქვეყნა თვითშეფასების ანგარიში, ძნელია იმის შეფასება, დასრულდა თუ არა სამოქმედო გეგმის ვალდებულებებით გათვალისწინებული თექვსმეტივე იუსტიციის სახლის პროექტი.[4]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ყველა გამოკითხული დაინტერესებული მხარე თანხმდებოდა იმაში, რომ ეს მთავრობის ერთ–ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. თუმცა ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და აკადემიური წრეების წარმომადგენელი აღნიშნავდა, რომ იუსტიციის სახლებში აქცენტი უმთავრესად მოქალაქეთა მომსახურებაზე კეთდება, ხოლო OGP–ს რაც შეეხება, ისინი ვერ პასუხობენ მის ღირებულებებს – ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას, ანგარიშვალდებულებას, ტექნოლოგიებსა და ინოვაციას. მათი აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლება კარგ მმართველობას ასხვავებდეს ღია მმართველობისაგან, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უკეთეს მომსახურებას, კერძოდ, საჯარო მონაცემთა ახალი პაკეტების შექმნას და ადვილად გამოსაყენებელი ფორმატით გამოშვებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართვისათვის ხელმისაწვდომი პლატფორმების ჩამოყალიბებას.[5]

## წინ გადადგმული ნაბიჯები

უკეთესი იქნება, იუსტიციის სახლები გვთავაზობდნენ აგრეთვე გარკვევით ჩამოყალიბებულ მექანიზმებს, რომელთა საშუალებითაც მოქალაქეებს საკუთარი ინიციატივების წამოყენება შეეძლებათ. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება, თავად აირჩიოს, რა სახის მომსახურების მიღება სურს ხელისუფლებისგან, და მონაწილეობა მიიღოსამ მომსახურების დანერგვაში. გარდა ამისა, მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რა პირად მონაცემებს ინახავს ხელისუფლება მათ შესახებ, ვისთვის და რა კონკრეტული მიზნებისათვის არის ხელმისაწვდომი ეს მონაცემები.[6]

[1] OGP–ის სამოქმედო გეგმა, http://bit.ly/19nOI08
[2] იუსტიციის სახლი, http://bit.ly/1aihqhs
[3] ლომიძე ირაკლი, „იუსტიციის სახლი“, იუსტიციის სახლი, პრეზენტაციის სლაიდები, 2013 წლის 1 ოქტომბერი, http://bit.ly/1gi4adl
[4] რაც შეეხება მთავრობის 2013 წლის 1 ოქტომბრის პრეზენტაციას, მთავრობამ ვერ მოახერხა დანარჩენი 4 იუსტიციის სახლის გახსნა, http://bit.ly/1gi4adl
[5] დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.
[6] იქვე.

## 1.2. ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ მთავრობებში

*არსებობს რწმენა, რომ საქართველოს მოქალაქეებს ინოვაციურ სახელმწიფო სერვისებზე ხელი არა მხოლოდ ცენტრალურ დონეზე ან დიდ ქალაქებშიუნდა მიუწვდებოდეთ, არამედპატარა სოფლებშიც. საქართველოს მთავრობაამიტომ იღებს შემდეგ ვალდებულებებს:*

*ა) მოხდება საქართველოს მუნიციპალიტეტების თანდათანობითი ინტეგრირება ელექტრონული მმართველობის სისტემაში. მუნიციპალური დაწესებულებები პროცედურების ოპტიმიზაციისა და გამარტივების შედეგად თავიანთ მენეჯმენტსა და მომსახურებას გააუმჯობესებენ. გარდა ამისა, ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან ყველა საჭირო ინფორმაციით, რადგან მათთვის მონაცემთა სხვადასხვა ბაზაპირდაპირ იქნება ხელმისაწვდომი;*

*ბ) სოფლის განვითარების ცენტრები შედარებით დიდი მოსახლეობის მქონე შორეულ სოფლებში აშენდება. ეს არის სრულიად ახალი კონცეფცია, რომელიც სოფლის მოსახლეობას ადგილზე არაერთ მომსახურებას სთავაზობს. კერძოდ, სოფლის განვითარების ცენტრები გასწევენ ადგილობრივი მთავრობის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ ყველა მომსახურებას და ბევრ აუცილებელ მომსახურებას, რომლებსაც კერძო სექტორი ახორციელებს.*

*ვადები: 2012 წელს დაიწყო და კიდევ ორ წელს გაგრძელდება.*

*პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო*

| ვალდებულების აღწერა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ანგარიშვალდებულება** | **წამყვანი დაწესებულება** | სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (ყოფილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტო) | | | | |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობები არ მოიპოვება | | | | |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა | | | | |
| **სპეციფიკა და გაზომვადობა** | | საშუალო (ვალდებულების ტექსტი იმგვარ ღონისძიებას აღწერს, რომლის შემოწმებაც ობიექტურად შესაძლებელია, მაგრამ არ შეიცავს კონკრეტულ მიღწევებს ან საბოლოო შედეგებს) | | | | |
| **მიმართება** | **OGP-ის დიდი გამოწვევები** | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | | |
| | **OGP-ის ღირებულებები** | | | | | |
| | **ინფორმაციისხელმისაწვდომობა** | **მოქალაქეთაჩართულობა** | **ანგარიშვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** | |
| | ✘ | | | | | |
| **მისწრაფება** | | | | | | |
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ადრე არსებული | | **პოტენციური შედეგი**<br>ზომიერი (ვალდებულება შესაბამისი პოლიტიკის სფეროში სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ შეზღუდული რჩება მასშტაბებისა და გამოყენების სფეროს თვალსაზრისით) | | | | |
| **დასრულების დონე**<br>მიღწევა 1. დიდი მოსახლეობის მქონე შორეულ სოფლებში სოფლის განვითარების ცენტრები აშენდება | | | | | | |
| **დაწყების თარიღი:**<br>2012წ | **დასრულების თარიღი:**<br>2014წ | ფაქტობრივი დასრულება<br>დაგეგმილი დასრულება | არ დაწყებულა / შეზღუდული / არსებითი / დასრულებული (ფაქტობრივი: არსებითი; დაგეგმილი: არსებითი) | | | |
| **შემდგომი ნაბიჯები** | | | | | | |
| არსებული შესრულების საფუძველზე ახალი ვალდებულების შემუშავება | | | | | | |

TOC

## რა მოხდა?

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (ყოფილი სამოქალაქო რეესტრის სააგენტო) ინფორმაციით, ეს ვალდებულება უკვე არსებითად დასრულებულია. მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის არარსებობის პირობებში, ამ უწყების მიერ მოწოდებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ამჟამად 48000 ადგილობრივ მოსახლეს უწევენ ინტეგრირებულ მომსახურებას საჯარო სექტორიდან (ამჟამად ე. წ. საზოგადოებრივი ცენტრებიდან) 12 სოფლის განვითარების ცენტრში, რომლებიც შემდეგ ქართულ სოფლებში ფუნქციონირებს: შაშიანში, სართიჭალაში, გომში, ჭალადიდში, რუისში, ხევში, კოდაში, მანგლისში, ნიგოითში, ჯვარში, ფოკასა და შორაპანში. ხელისუფლება გეგმავს, კიდევ ექვს სოფელში ააშენოს საზოგადოებრივი ცენტრები და ადგილობრივი მოსახლეობისათვის შესათავაზებელი მომსახურების სახეთა სპექტრი მასში სანოტარო, ელექტრონული ბიბლიოთეკისა და სხვა ინტერნეტ მომსახურების, ასევე კომპიუტერული კურსების, ინგლისური ენისა და ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული ენის სასწავლო პროგრამების შეტანით გაამდიდროს.[1]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ,[2] ლევან სამადაშვილმა, აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა და მუნიციპალიტეტები არ აქტიურობენ იმასთან დაკავშირებით იდეების შეთავაზებაში, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი ცენტრების მუშაობა, რომ სახელმწიფო სერვისები უკეთ უპასუხებდეს მათ საჭიროებებს. როგორც მან აღნიშნა, ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ მათი შესაძლებლობები შეზღუდულია და ისინი თავს ამ ცენტრების „მესაკუთრეებად“ არ აღიქვამენ.[3]

## წინ გადადგმული ნაბიჯები

ამ ვალდებულებიდან არ ჩანს, როგორ ავითარებს ის OGP-ის ღირებულებებს – ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მოქალაქეთა ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულება უკვე არსებითად დასრულებულია, მის შესრულებასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები. ამ გამოწვევების საპასუხოდ მთავრობა გეგმავს:

- გამოიყენოს ტექნოლოგიები და ადგილობრივ მოსახლეობას მისცეს საშუალება, შესაძლო პრიორიტეტთა ჩამონათვალიდან ის პრიორიტეტები აირჩიოს, რომლებიც მისი სოფლის განვითარებას წაადგება;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლებისათვის განახორციელოს კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, რათა მათ გააუმჯობესონ მომსახურების მენეჯმენტი.

დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ სოფლებში საზოგადოებრივი ცენტრები ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ ასევე:

- ახალგაზრდებისა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების გააქტიურებაზე საქმიანობაში მათი სისტემატურად ჩართვით და ამ ადამიანებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კავშირების დამყარებით;
- საზოგადოებრივი ცენტრების პროექტის უფრო მეტად ხელშეწყობაზე, მაგალითად, მათ ვებგვერდზე დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებით.[4]

თუმცა ეს ვალდებულება ყურადღებას ამახვილებს ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებაზე, IRM-ის მკვლევარის რეკომენდაციაა, მისი ტექსტი ხელახლა ჩამოყალიბდეს და ვალდებულებაში გარკვევითა ლინიშნოს, როგორ ავითარებსის OGP -ის ღირებულებას -მოქალაქეთა ჩართულობას.

[1] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, „საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების პროექტი“, პრეზენტაციის სლაიდები, 2013 წლის სექტემბერი.
[2] IRM-ის მკვლევარის ინტერვიუ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ლევან სამადაშვილთან, 2013 წლის 24 სექტემბერი.
[3] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ელექტრონული მმართველობის განხორციელება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, პრეზენტაციის სლაიდები, 2013 წლის აგვისტო; სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების სტრატეგია 2013-14 წწ. პერიოდისათვის, 2013 წ.
[4] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.



TOC

## 1.3. მოქალაქეთა პორტალი

*სახელმწიფო სერვისები ონლაინ რეჟიმშიც იქნება ხელმისაწვდომი. მოქალაქეები შეძლებენ, თავიანთი ელექტრონული პირადობის მოწმობები გამოიყენონ citizenportal.ge –ზე შესასვლელად, სადაც მათთვის გამოყოფილი იქნება ვებსივრცე, რომლის მართვა და მომსახურების მიღებაც ონლაინ რეჟიმში შეეძლებათ.*

*ვადები: პორტალი 2013 წელს ამოქმედდება.*

*პასუხისმგებელი უწყება: მონაცემთა გაცვლის სააგენტო*

| ვალდებულების აღწერა | | |
|---|---|---|
| **ანგარიშვალდებულება** | **წამყვანი დაწესებულება** | მონაცემთა გაცვლის სააგენტო |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობები არ მოიპოვება |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | დაბალი (ვალდებულების ტექსტი ღონისძიებას ისე აღწერს, რომ მკითხველის მხრიდან გარკვეული ინტერპრეტაციაა საჭირო მისი გაზომვადობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად) |
| **მიმართება** | **OGP–ის დიდი გამოწვევები** | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება |

| **მიმართება: OGP–ის ღირებულებები** | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ინფორმაციისხელმისაწვდომობა** | **მოქალაქეთაჩართულობა** | **ანგარიშვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** |
| ✘ | | | | |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ადრე არსებული | **პოტენციური შედეგი**<br>ზომიერი (ვალდებულება შესაბამისი პოლიტიკის სფეროში სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ შეზღუდული რჩება მასშტაბებისა და გამოყენების სფეროს თვალსაზრისით) |

**დასრულების დონე**
მიღწევა 1. მოქალაქეები citizenportal.ge –ს გამოყენებით ონლაინ რეჟიმში მიიღებენ სახელმწიფო სერვისებს

| **დაწყების თარიღი:**<br>2013წ | **დასრულების თარიღი:**<br>2013წ | ფაქტობრივი დასრულება<br>დაგეგმილი დასრულება | არ დაწყებულა / შეზღუდული / არსებითი / დასრულებული |
|---|---|---|---|

| შემდგომი ნაბიჯები |
|---|
| ვალდებულების შესწორება ეფექტიანი შესრულებისა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად |

TOC

## რა მოხდა?

შეიძლება ითქვას, რომ ეს ვალდებულება უკვე არსებითად დასრულებულია, თუმცა მას მნიშვნელოვანი შეზღუდვები აქვს. მოქალაქეთა პორტალი რთული გამოსაყენებელია და არც მისი საჯაროდ გაცნობა მომხდარა სათანადოდ. 2012 წელს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ სახელმწიფო სერვისების ინტეგრირებული ონლაინპორტალი აამოქმედა -აღნიშნული ვალდებულება საქართველოს OGP-ში გაწევრებამდე არსებობდა.[1] ეს პორტალი სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ გაწეულ 50 სახის მომსახურებას აერთიანებს. ეს უწყებებია: იუსტიციის სამინისტრო და მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და შემოსავლების სამსახური. შეფასების შემდგომ პერიოდში, 2013 წლის სექტემბერში, მოქალაქეთა პორტალზე (https://www.my.gov.ge) ამოქმედდა როგორც საჯარო, ისე პირადი ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის განყოფილება- ამ ვალდებულების შესრულება თავდაპირველად http://data.gov.ge-ზე იყო დაგეგმილი.[2]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

არსებობს არაერთი საკითხი, რომელიც ართულებს my.gov.ge-თი სრულად სარგებლობას. ჯერ ერთი, ყველა სახელმწიფო ონლაინსერვისი როდია უფასო, მაგალითად, ბიზნესის ონლაინ რეგისტრაცია და საცხოვრებელი მისამართის ცვლილება. ამგვარი მომსახურებით სარგებლობისათვის მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ელექტრონული პირადობის მოწმობა (რომელიც 30 ლარი ჯდება და 10 სამუშაო დღის ვადაში გაიცემა) და USB-ბარათის მკითხველი (ის კი 10 ლარი ღირს), რომლებიც მანიუსტიციის სახლში უნდა შეიძინოს.[3] მეორეც, ეს ვებგვერდი ძალიან მარტივად გამოსაყენებელი არ არის თვით ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლისთვის. მასში ნავიგაცია ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის დახელოვნებული მომხმარებლებისთვისაც კირთულია და საბაზისო ინფორმაციაც, მაგალითად, ვებგვერდის შინაარსი, ყოველთვის სწრაფად არ იძებნება. ამისთვის მოქალაქეს სავალდებულო ავტორიზაცია (მომხმარებლის სახელი და პაროლი) უნდა ჰქონდეს გავლილი, თუმცა ვეგბერდი არ იძლევა ინფორმაციას იმაზე თუ სად და როგორ შეიძლება აღნიშნული სახელისა და პაროლის მიღება. ამას ერთვის ის, რომ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, მთავარი გამოწვევა კოორდინაცია, არსებული ონლაინ სერვისების გამართული ფუნქციონირება და ახალი სერვისების დამატებაა. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ეს შეზღუდვები ამ პროცესის მონაწილე უწყებების ორგანიზაციულ შესაძლებლობებს უკავშირდება.[4] დაინტერესებული მხარეების აზრით, პორტალის საჯაროდ გაცნობა სათანადო დონეზე არ მომხდარა. არ არსებობს სტატისტიკა, რომელიც გვიჩვენებდა, რამდენი ადამიანი იყენებს მას და რამდენად კმაყოფილები არიან მომხმარებლები მისი მუშაობით.[5]

## წინ გადადგმული ნაბიჯები

გაუგებარია, როგორ ავითარებს ამ ვალდებულების OGP-ის სამოქმედო გეგმაში შეტანა OGP-ის ღირებულებებს – ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას, ტექნოლოგიებსა და ინოვაციას. ონლაინპორტალის შექმნა სახელმწიფო სერვისების პარალელურად ინფორმაციის ადვილად მიღებას უნდა უზრუნველყოფდეს დამატერიალურად ხელმისაწვდომი და გამოსაყენებლად მოსახერხებელიც უნდა იყოს. ამას კი პორტალი ვერ ახერხებს. IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, აღნიშნული ვალდებულების ტექსტი იმგვარად ჩამოყალიბდეს, რომ ის უკეთ შეესაბამებოდეს OGP-ის ღირებულებებს -ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას, ტექნოლოგიებსა და ინოვაციას. მკვლევარი ეთანხმება დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს და შემდეგ რეკომენდაციებს იძლევა:

- უნდა მოხდეს პორტალის უკეთ გაცნობა საზოგადოებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- თუ მოქალაქეებმა ამ პორტალიდან სარგებელი უნდა ნახონ, მაშინმის გამოყენებასთან დაკავშირებით არანაირი პირობები არ უნდა არსებობდეს. ამდენად, ელექტრონული პირადობის მოწმობის ან USB-ბარათის მკითხველის მოთხოვნა, რომელიც ზედმეტ ხარჯებსა და დროის ხარჯვას ნიშნავს, უნდა გაუქმდეს;
- მოქალაქეთა პორტალი უნდა გადაკეთდეს, რათა ის ადვილად გამოსაყენებელი იყოს და საქართველოს ყველა მოქალაქეს აძლევდეს საშუალებას, მონაწილეობა მიიღონიმ არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახება.[6]

[1] https://www.my.gov.ge, http://www.citizenportal.ge ნაცვლად
[2] IRM-ის მკვლევარის ინტერვიუ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი გვენეტაძესთან, 2013 წლის 4 ოქტომბერი.
[3] იუსტიციის სახლი, http://bit.ly/1hjYjp0
[4] გვენეტაძე, განმეორებითი ციტირება
[5] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება
[6] იქვე

TOC

## 2. ადვილად ხელმისაწვდომი ჯანდაცვა

*საქართველოს მთავრობა ჯანდაცვის სისტემის საყოველთაო რეორგანიზაციაზე და მისი ინფრასტრუქტურის სრულ გადაიარაღებაზე მუშაობს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 600 საავადმყოფოდან, რომლებიც ამჟამად, ძირითადად,არ ფუნქციონირებს, 2014 წლისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 150 ახალი და კარგად აღჭურვილი საავადმყოფო აშენდება. მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის – [http://ehealth.moh.gov.ge](http://ehealth.moh.gov.ge) –შექმნა, რომელიც მოქალაქეებს ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში არსებული მომსახურების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის.*

*ვადები: მიმდინარეობს და კიდევ ორ წელს გაგრძელდება.*

*პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო*

| ვალდებულების აღწერა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ანგარიშ ვალდებულება** | **წამყვანი დაწესებულება** | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | | | | |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობებიარმოიპოვება | | | | |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა | | | | |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | მაღალი (ვალდებულების ტექსტი ნათლად აყალიბებს დასახული ამოცანის შესასრულებლად მკაფიო, გაზომვად, დადგენად მიღწევებს) | | | | |
| **მიმართება** | **OGP-ის დიდი გამოწვევები** | საჯარომო მსახურების გაუმჯობესება | | | | |
| | **OGP-ის ღირებულებები** | | | | | |
| | **ინფორმაციისხელმისაწვდომობა** | **მოქალაქეთაჩართულობა** | **ანგარიშვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** | |
| | ✘ | | | | | |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ადრე არსებული | **პოტენციური შედეგი**<br>ზომიერი (ვალდებულება შესაბამისი პოლიტიკის სფეროში სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ შეზღუდული რჩება მასშტაბებისა და გამოყენების სფეროს თვალსაზრისით) |

| **დასრულების დონე**<br>მიღწევა 1. აშენდება 150 ახალი საავადმყოფო და შეიქმნება ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემა | | | |
|---|---|---|---|
| **დაწყების თარიღი:**<br>2012წ | **დასრულების თარიღი:**<br>2014წ | ფაქტობრივი დასრულება<br><br>დაგეგმილი დასრულება | არ დაწყებულა · შეზღუდული (▼ ფაქტობრივი) · არსებითი (▲ დაგეგმილი) · დასრულებული |

| შემდგომი ნაბიჯები |
|---|
| ვალდებულების ტექსტის ხელახლა ფორმულირება იმგვარად, რომ მასში ასახული იყოს ვალდებულების მიმართება OGP-ის ღირებულებებთან |

TOC

## რა მოხდა?

ნათელი არ არის, როგორ შეესაბამება ვალდებულება OGP-ის ღირებულებებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მოქალაქეთა ჩართულობას, ტექნოლოგიებსა და ინოვაციას. მეტიც, ამ ვალდებულების, რომელიც OGP-ის სამოქმედო გეგმის მიღებამდე არსებობდა, დასრულების დონე ძალიან შეზღუდულია. 2011 წლიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობამ შეძლო მხოლოდ 51 ახალი საავადმყოფოს აშენება, რომელთაგან შეფასების პერიოდის განმავლობაში, 2012 წელს, მხოლოდ 11 აშენდა.[1] რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის ერთიან საინფორმაციო სისტემას (http://ehealth.moh.gov.ge), როგორც ჩანს, ის, ძირითადად, გამოიყენება შიდა მოხმარებისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2013 წლის თებერვლიდან ხორციელდება. მაგალითად, თუ მონაცემთა სხვადასხვა პაკეტის ნახვას შეეცდებით, პროგრამა მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანას მოგთხოვთ, მაგრამ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოიპოვოს მომხმარებელმა ისინი, ვებგვერდი არ იძლევა.[2] როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენელმა განგვიმარტა, მოქალაქეები შეძლებენ, https://www.my.gov.ge-ზე მიიღონ როგორც სამედიცინო, ისე პენსიებსა და სოციალურ დახმარებებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ეს ვებგვერდი, როგორც ჯანდაცვის მონაცემთა საჯაროდ გამოსაყენებელი ბაზა, ფაქტობრივად, ჩაანაცვლებს http://ehealth.moh.gov.ge–ს.[3]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ადვილად ხელმისაწვდომი და უკეთესი ჯანდაცვის უზრუნველყოფის ამ ვალდებულების მხრივ ჩამორჩენის ძირითადი მიზეზიაუუნარობა კერძო სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთა ვალდებულებაც იყო ახალი საავადმყოფოების აშენება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა IRM-ის მკვლევართან საუბრისას განმარტა, რომ სადაზღვევო კომპანიებმა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულეს. მანვე აღნიშნა, რომ საავადმყოფოები, რომლებიც ამჟამად კერძო სადაზღვევო კომპანიების კუთვნილებაა, სახელმწიფო საკუთრებაში რომ იყოს, მთავრობა მეტ პასუხისმგებლობას აიღებდა მათი მოდერნიზებისათვის, როგორც ამას OGP-ის ვალდებულება ითვალისწინებს.[4] ამჟამად საქართველოში არსებული თითქმის ყველა საავადმყოფო კერძო ინვესტორის საკუთრებაა – ინვესტორთა 40 პროცენტი სადაზღვევო კომპანიაა, 30 პროცენტი – ფიზიკური პირი, ხოლო 20 პროცენტი – სხვა სახის საწარმო.[5] მაგრამ ხშირ შემთხვევაში საავადმყოფოს რეალური მფლობელის სახელი უცნობია ან მის შესახებ ცნობები ძალზე მწირია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიაჩნია, რომ ამ საკითხში არასაკმარისი გამჭვირვალობა, თავის მხრივ, მფლობელების გამოცდილებისა და მათ საკუთრებაში არსებულ საავადმყოფოებში პირობების გასაუმჯობესებლად აღებული გრძელვადიანი ვალდებულებების რეალურობის თაობაზე დამატებით კითხვებს ბადებს.[6] ამ ანგარიშის შედგენის დროს კერძო სადაზღვევო კომპანიები ხელშეკრულებების ახალ პირობებთან დაკავშირებით მთავრობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ.[7] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომელთან ონლაინპორტალის საკითხის განხილვისას მან აღნიშნა, რომ მთავარი მიზანიპერსონალურ მონაცემთა არასანქციონირებული გამოყენებისაგან დამცავი უსაფრთხო სისტემის შემუშავება და ინტერნეტმონაცემთა მძლავრი ნაკადების დამუშავების უნარის მქონე ოპტიმალური ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება უნდა იყოს. სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, სამინისტროს ამჟამად არ შეუძლია შეაფასოს, თუ როგორ შეიძლება ამგვარი სისტემის დანერგვა. რესურსების, კომპეტენციებისა და დაფინანსების სიმწირე, საზოგადოდ, არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა და მიზეზიც, რომლის გამოც სამინისტროს ხშირად უწევს თავისი სერვისებისათვის კერძო კომპანიებისა და ფიზიკური პირების დაქირავება.[8]

## წინ გადადგმული ნაბიჯები

150 საავადმყოფოს აშენების ვალდებულება არ შესრულებულა. მეტიც, OGP-ის ღირებულებებთან მისი მიმართება ნათლად ჩამოყალიბებული არ არის. შესაბამისად, ბუნდოვანია, როგორ წაადგება ეს ვალდებულება მთავრობის სურვილს, შეუერთდეს OGP-ს და დაიცვას მისი ღირებულებები. ამჟამინდელი ფორმულირებით ამ ვალდებულების ტექსტივერ ნათელყოფს, თუ როგორ შეესაბამება ის OGP-ის ღირებულებებს. IRM-ის მკვლევარის აზრით, საჯარო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ტექნოლოგიების გამოყენებასთან ერთად მთავრობაუნდა ესწრაფოდეს, გაზარდოს მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე და აქტიურად ჩართოს ისინი ადვილად ხელმისაწვდომი და უკეთესი ჯანდაცვის სისტემის შემუშავებასა და ამოქმედებაში. ამისათვის, საქართველოში IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციით, ვალდებულების ტექსტი ხელახლა უნდა ჩამოყალიბდეს, რათა:

- დააკონკრეტდეს, როგორ განავითარებს ის OGP-ის ღირებულებებს;
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ახალი ჯანდაცვის სისტემისათვის შემუშავებული ვებგვერდები თუ პორტალები ადვილად გამოსაყენებელი იყოსდა მომხმარებელს გარკვევით აუხსნას მისი უფლებები და მოვალეობები;
- დააკონკრეტდეს, ვისთვის იქნება ხელმისაწვდომი პირად მონაცემთა შემცველი სამედიცინო ჩანაწერები ან სხვა ინფორმაცია, რომელსაც მოქალაქეები ელექტრონულად უზიარებენ ერთმანეთს, და რისთვის შეიძლება ამ ინფორმაციის გამოყენება;

TOC

- რაც მთავარია და რაც დაინტერესებულ მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ, ჯანდაცვის პორტალებზე გენერირებული საჯარო მონაცემების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნეს ყველა მოქალაქისათვის, მათ შორის, იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ინტერნეტი არა აქვთ.[9]

[1] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, პრეზენტაციის სლაიდები, 2013 წლის 1 ოქტომბერი; IRM-ის მკვლევარის სატელეფონო ინტერვიუ ზურა უტიაშვილთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციის კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი, 2013 წლის 26 სექტემბერი.
[2] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, http://ehealth.moh.gov.ge
[3] IRM-ის მკვლევარის ინტერვიუ ვანო გოლიაძესთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, 2013 წლის 25 სექტემბერი.
[4] იქვე.
[5] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს ჰოსპიტალური სექტორი“, 2012 წ., http://bit.ly/1bGhcCA
[6] იქვე.
[7] გოლიაძე, განმეორებითი ციტირება.
[8] იქვე.
[9] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.

TOC

TOC

## 3 | იყავით ინფორმირებული და წარმატებით განავითარეთ თქვენი ქვეყანა

### 3.1. ichange.ge–სა და data.gov.ge–ის ამოქმედება

*კარგად ინფორმირებული მოქალაქე სახელმწიფოს განვითარების ერთ–ერთი მთავარი ძალაა. ამიტომაც იგეგმება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის თითოეული ადმინისტრაციული უწყების ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნება. შეიქმნება საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ერთიანი ბაზა – data.gov.ge, რომელზედაც მოქალაქეები ადვილად შეძლებენ თემატურად დაჯგუფებული საჯარო ინფორმაციის ნახვას. მომხმარებელს შეეძლება ამავე ვებგვერდზე გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში. ამ პროექტის არსი ის არის, რომ მოქალაქეებს უამრავი სუბიექტის ქსელში არსებული ინფორმაციის მოძიება გაუმარტივოს. ამ შემთხვევაში ყველაფერი ერთ ვებგვერდზე იქნება თავმოყრილი. დიდი მოლოდინია იმისა, რომ ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომი ინფორმაცია დისკუსიის ინტერესს გააღვივებს და ხელს შეუწყობს ცვლილების საჭიროების დადგენას იქ, სადაც ეს აუცილებელია. ამ მიზნით იგეგმება პლატფორმის ichange.ge –ამოქმედება, რომელზედაც მოქალაქეები შეძლებენ, გამოთქვან საკუთარი შეხედულებები, კრიტიკა ან იდეები. აღნიშნულ პროექტზე მომუშავე გუნდის დანიშნულება იქნება ვებგვერდზე ყველაზე აქტიურად განხილული საკითხების მოგვარება, ყველაზე მწვავე პრობლემების დაფიქსირება და მათ შესახებ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოს ინფორმირება. მოქალაქეებს ichange.ge–ზე განცხადებების ელექტრონული ფორმით წარდგენაც შეეძლებათ. როდესაც ელექტრონული განცხადების ხელმომწერთა რაოდენობა გარკვეულ რიცხვს მიაღწევს (განსახილველი საკითხის მასშტაბებიდან გამომდინარე), შესაბამისი ორგანო ვალდებული იქნება, მასზე რეაგირება მოახდინოს.*

*ვადები: 2012 წელს პროაქტიულად გამოქვეყნებას რამდენიმე სააგენტო დაიწყებს, ხოლო 2014 წელს– ყველა სააგენტო. data.gov.ge და ichange.ge  2013 წელს ამოქმედდება.*

*პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*

| ვალდებულების აღწერა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ანგარიშვალდებულება** | **წამყვანი დაწესებულება** | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | | | | |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობები არ მოიპოვება | | | | |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა | | | | |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | მაღალი (ვალდებულების ტექსტი ნათლად აყალიბებს დასახული ამოცანის შესასრულებლად მკაფიო, გაზომვად, დადგენად მიღწევებს) | | | | |
| **მიმართება** | **OGP–ის დიდი გამოწვევები** | საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება | | | | |
| | **OGP–ის ღირებულებები** | | | | | |
| | **ინფორმაციისხელმისაწვდომობა** | **მოქალაქეთაჩართულობა** | **ანგარიშვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** | |
| | ✘ | ✘ | | | | |

| პოტენციური შედეგი | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ახალი | **პოტენციური შედეგი**<br>ტრანსფორმაციული (ვალდებულება გულისხმობს რეფორმას, რომელსაც შესაბამისს სტრატეგიულ სფეროში მიმდინარე პროცესის „ჩვეულრეჟიმში“ გარდაქმნის პოტენციალი აქვს) |

TOC

**დასრულების დონე**
მიღწევა 1. ამოქმედდება ichange.ge და data.gov.ge

| **დაწყების თარიღი:** 2012წ | **დასრულების თარიღი:** 2013წ | ფაქტობრივი დასრულება / დაგეგმილი დასრულება | არ დაწყებულა / შეზღუდული / არსებითი / დასრულებული |
|---|---|---|---|

**შემდგომი ნაბიჯები**

ვალდებულების ტექსტის ხელახლა ფორმულირება იმგვარად, რომ მასში გარკვევით იყოს მითითებული ვალდებულების შესრულების შედეგები და ვადები

## რა მოხდა?

ეს ვალდებულება, ფატობრივად, არ შესრულებულა. არ შექმნილა შესაძლებლობები გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა უშუალოდ ჩართვისათვის სერიოზული სიახლეების განსახორციელებლად. კერძოდ, ხელისუფლებამ ვერ აამოქმედა http://www.i-change.ge/ და ვერც http://data.gov.ge-სრულად ამუშავება შეძლო, მაგალითად, ვერ მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის განყოფილება.[1]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ამჟამინდელი ფორმით http://data.gov.ge მხოლოდ სხვადასხვა საჯარო ვებგვერდზე გადამყვანი ბმულების კომპილაციაა. ის არ შეიცავს მონაცემთა რეალურ პაკეტებს ან რაიმე სახის კონტექსტურ ინფორმაციას, რომელიც განმარტავდა, რისთვის შეიძლება მისი გამოყენება და რით შეიძლება იყოს ის კონკრეტულად სასარგებლო. მასზე პროაქტიულად არ ქვეყნდება საზოგადოებისათვის აქტუალური ინფორმაცია. დაინტერესებული მხარეების აზრით, http://www.i-change.ge/-სა და http://data.gov.ge-ს ვერ ამოქმედების მთავარი მიზეზია, ერთი მხრივ, მთავრობის მიერ არასათანადოდ დაგეგმვა, მეორე მხრივ კი, კონკრეტული შედეგების, განხორციელების ვადების, რესურსებისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.[2]

## წინ გადადგმული ნაბიჯები

ეს ვალდებულება არ შესრულებულა. მისი ეფექტიანი შესრულების უზრუნველსაყოფად მთავრობას არც ვადა დაუდგენია და არც რაიმე გეგმა შეუმუშავებია. მას შეეძლო სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას დაყრდნობოდა. დაინტერესებულმა მხარეებმა მართლაც მიუთითეს საქართველოს მთავრობას აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მოქმედი მსგავსი ვებგვერდების/პლატფორმების წარმატებულ მაგალითებზე,[3] რომლებიც მას შეეძლო შეესწავლა, მათი ქართული ვარიანტები შეექმნა და საქართველოში გამოეყენებინა. არ იყო ასევე მეტად აუცილებელი მხარდაჭერა პრემიერ-მინისტრის დონეზე. მაგალითად, პრემიერ-მინისტრის სამსახურს შეეძლო, აღმასრულებელი ორგანოებისათვის მიემართა, რათა ისინი ამ ონლაინ პლატფორმებს შეერთებოდნენ და პერიოდულად განახლებადი ფართო სპექტრის მონაცემთა პაკეტები გამოექვეყნებინათ.[4] შეფასების შემდგომ პერიოდში, 2013 წლის 26 აგვისტოს, არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფის, რომელთა შორის იყვნენ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, რეკომენდაციების საფუძველზე მთავრობამ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ დადგენილება მიიღო.[5] ამ დადგენილების თანახმად, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია პრემიერ-მინისტრის ზედამხედველობით პროაქტიულად და უფასოდ აქვეყნებდეს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ ორიგინალური მონაცემების ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და ასლის გადაღებამათი დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე. ეს გადაწყვეტილება შექებას იმსახურებს და დაინტერესებულმა მხარეებმა მართლაც მოიწონეს ის; მაგრამ იმავე დაინტერესებულმა მხარეებმა ამ ვალდებულების შესრულების გასაუმჯობესებლად დამატებითი რეკომენდაციებიც ჩამოაყალიბეს. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ ინფორმაციის მონაცემთა ღია ფორმატში პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება საერთო სტანდარტი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ვალდებულება აღმასრულებელი ხელისუფლებით არ უნდა შემოიფარგლოს და უნდა გავრცელდეს ხელისუფლების ყველა შტოზე, მათ შორის, პარლამენტზე, სასამართლო ხელისუფლებაზე, არჩეულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე და დამოუკიდებელ მარეგულირებლებზე.[6]

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, http://data.gov.ge
[2] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.
[3] http://www.data.gov; http://data.gov.uk/; ან http://epetitions.direct.gov.uk/
[4] იქვე.
[5] საქართველოს მთავრობის დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, 2013 წლის 26 აგვისტო, http://bit.ly/18eOLsE
[6] გოგიძე ლაშა, „ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება როგორც საერთო სტანდარტი საქართველოში“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, 2013 წლის 9 სექტემბერი, http://bit.ly/KfGD1S

## 3.2. პლატფორმა საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობი–სათვის

*გაფართოვდება პირდაპირი დიალოგი კანონმდებლებსა და მოქალაქეებს შორის: საქართველოს საკანონმდებლო მაცნის არსებულ ვებგვერდს (www.matsne.gov.ge) ექნება სპეციალური მოდული, რომელიც ყველა მსურველს მისცემს საშუალებას, კომენტარი გააკეთოს კანონპროექტებისა თუ მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ნებისმიერ მუხლზე და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. გაადვილდება კანონების გაგება, რადგან მოხდება პრეცედენტული სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული დაკავშირება შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მუხლებთან. სპეციალური გუნდი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ყურადღებით დააკვირდება მიმდინარე განხილვებს, გამოავლენს ყველაზე აქტუალურ და აქტიურად განხილულ სამართლებრივ საკითხებს და, საჭიროების შემთხვევაში, მოამზადებს კანონპროექტებს პარლამენტში წარსადგენად.*

*ვადები:დასრულდება 2012 წელს.*

*პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*

| ვალდებულების აღწერა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ანგარიშ ვალდებუ ლება** | **წამყვანი დაწესებულება** | საქართველოს საკანონმდებლო მაცნე | | | |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობები არ მოიპოვება | | | |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა | | | |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | მაღალი (ვალდებულების ტექსტი ნათლად აყალიბებს დასახული ამოცანის შესასრულებლად მკაფიო, გაზომვად, დადგენად მიღწევებს) | | | |
| **მიმართება** | **OGP–ის დიდი გამოწვევები** | საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა | | | |
| | **OGP–ის ღირებულებები** | | | | |
| | **ინფორმაციისხელმ ისაწვდომობა** | **მოქალაქეთაჩა რთულობა** | **ანგარიშ ვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** |
| | ✘ | ✘ | | | |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ახალი | **პოტენციური შედეგი**<br>ტრანსფორმაციული (ვალდებულება გულისხმობს რეფორმას, რომელსაც შესაბამის სტრატეგიულ სფეროში მიმდინარე პროცესის „ჩვეულ რეჟიმში“ გარდაქმნის პოტენციალი აქვს) |

**დასრულების დონე**
მიღწევა1. www.matsne.gov.ge –ს ექნება სპეციალური მოდული, რომელიც ყველამ სურვილს მისცემს საშუალებას, კომენტარი გააკეთოს ნებისმიერ სამართლებრივ დოკუმენტზე

| | | | |
|---|---|---|---|
| **დაწყების თარიღი:** მითითებულიარარის | **დასრულების თარიღი:** 2012წ | ფაქტობრივი დასრულება<br><br>დაგეგმილი დასრულება | არ დაწყებულა / შეზღუდული / არსებითი / დასრულებული |

| შემდგომი ნაბიჯები |
|---|
| სათანადო ვადების დადგენა და იმის უზრუნველყოფა, რომ ვალდებულების შესრულება მის სულისკვეთებას შეესაბამებოდეს |

TOC

## რა მოხდა?

ამ ვალდებულების, რომელსაც აქტიურად უჭერდნენ მხარს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, დასრულების დონე შეფასების პერიოდში შეზღუდული იყო. საქართველოს საკანონმდებლო მაცნემ, რომელიცარის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), კანონპროექტების საჯარო განხილვისათვის მართლაც შექმნა მოდული თავის ვებგვერდზე (https://matsne.gov.ge/), მაგრამ ის სირთულეებს წააწყდა ამასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებების შესრულებისას, მაგალითად, საჯარო კომენტარზე ხელისუფლების უკუკავშირის მექანიზმის შექმნისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამის კანონებთან დაკავშირების საკითხებში.[1]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ https://matsne.gov.ge/-ზე  ქვეყნდებაარა ყველა კანონპროექტი, არამედმხოლოდ იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტები. საქართველოს საკანონმდებლო მაცნის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილი არ არის ყველა კანონპროექტის პირდაპირ გამოქვეყნება შეჯერებული კრიტერიუმების მიხედვით მათი წინასწარ კატეგორიებად დახარისხების გარეშე.[2] გარდა ამისა, გარკვეული სამართლებრივი აქტები, როგორებიცაა, მაგალითად, ნორმატიული აქტების კოდიფიცირებული ვერსიები, ჯერ კიდევ არ არის უფასო -ამგვარი სამართლებრივი აქტების ასლის თითო ჩამოტვირთვა 2 ლარი ღირს, ხოლო თუ გსურთ, https://matsne.gov.ge/ ზე ყველა სამართლებრივ დოკუმენტზე მიგიწვდებოდეთ ხელი, გამოწერის ყოველწლიური შენატანი 288 ლარია.[3] რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იუსტიციის სამინისტროს ჯერ კიდევ არ შეურჩევია ექსპერტიურისტთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამართლებრივი დოკუმენტების საზოგადოებრივი განხილვის მონიტორინგისთვის, გამოავლენს ყველაზე პოპულარულ კომენტარებს და მათ საფუძველზე ცვლილებების ინიცირებას მოახდენს. https://matsne.gov.ge -ზე არც სასამართლო გადაწყვეტილებების კანონმდებლობის შესაბამის მუხლებთან დამაკავშირებელი მოდული შექმნილა.[4]

## წინ გადადგმული ნაბიჯები

ამ ვალდებულების დასრულების დონეშეზღუდული იყო. კანონმდებლობის მოსამზადებელ პროცესში მოქალაქეების ჩართვამართლაც რომ მისასალმებელი ინიციატივაა, მაგრამ ამისათვის არაერთი პირობაა წამოყენებული, რაც ზღუდავს კანონშემოქმედების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. მაგალითად, გარკვეული დოკუმენტების ხელმისაწვდომობისთვის საფასურის დაწესება არასწორია და ვალდებულების სულისკვეთებას ეწინააღმდეგება. IRM-ის მკვლევარის რეკომენდაციაა, ამ ვალდებულების ტექსტი ხელახლა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ მასში აისახოს როგორც კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპები საზოგადოების ჩართულობის ხელშესაწყობად, ისევადები ვალდებულების დროულად შესრულებისათვის. IRM-ის მკვლევარი იზიარებს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებს და შემდეგ რეკომენდაციებს იძლევა:

- ყველა კანონი, კანონქვემდებარე აქტი და ოფიციალური დოკუმენტი https://matsne.gov.ge/-ზე უსასყიდლოდ უნდა იყოს ხელმისაწვდომი;
- გარდა ამისა, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე უნდა აქვეყნებდეს კანონპროექტების საპარლამენტო მოსმენების განრიგს, რათა საზოგადოებას შეეძლოს, უშუალოდ და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა კანონშემოქმედების პროცესში;
- უნდა გაძლიერდეს ხელისუფლების მხარდაჭერა https://matsne.gov.ge/-ს სრულყოფისა და უფრო ადვილი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, როგორც ამას ვალდებულების სულისკვეთება ითვალისწინებს.[5]

TOC

[1] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, https://matsne.gov.ge/
[2] IRM-ის მკვლევარს არ მიეწოდა ინფორმაცია შეჯერებული კრიტერიუმების შესახებ.
[3] IRM-ის მკვლევარის ინტერვიუ საქართველოს საკანონმდებლო მაცნის თავმჯდომარე ჯონი კვინიკაძესთან, 2013 წლის 23 სექტემბერი.
[4] იქვე.
[5] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.

# 3.3. მოქალაქეები და სამართალი

*2011 წელს საქართველოს მოქალაქეებს მიეცათ მეტად საჭირო შესაძლებლობა,ნაფიც მსაჯულთა ფუნქციების შესრულებით მონაწილეობა მიეღოთ მართლმსაჯულების განხორციელებაში. ამჟამად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესები დედაქალაქის ფარგლებს არ სცილდება და ერთი ტიპის დანაშაულით შემოიფარგლება. საქართველოგეგმავს, გაზარდოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების მასშტაბები როგორც გეოგრაფიულად, ისეგამოყენების სფეროს თვალსაზრისით.*

*ვადები: მიმდინარეობს და კიდევ ორ წელს გაგრძელდება.*

*პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს უზენაესი სასამართლო*

| ვალდებულების აღწერა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ანგარიშვალდებულება** | **წამყვანი დაწესებულება** | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | | | |
| | **დამხმარე დაწესებულება** | საქართველოს უზენაესი სასამართლო | | | |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა | | | |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | დაბალი (ვალდებულების ტექსტი ლინისძიებას ისე აღწერს, რომ მკითხველის მხრიდან გარკვეული ინტერპრეტაციაა საჭირო მისი გაზომვადობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად) | | | |
| **მიმართება** | **OGP-ის დიდი გამოწვევები** | არცერთი | | | |
| | **OGP-ის ღირებულებები** | | | | |
| | **ინფორმაციისხელმისაწვდომობა** | **მოქალაქეთაჩართულობა** | **ანგარიშვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** |
| | | | | | ✘ |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ადრე არსებული | **პოტენციური შედეგი**<br>არცერთი (ვალდებულება სტატუს-კვოს ინარჩუნებს) |

**დასრულების დონე**
მიღწევა1. ნაფიცმსაჯულთა სასამართლოებიის განვითარდება, რომ ამგვარი სასამართლო პროცესების გეოგრაფიული არეალი გაფართოვდეს და გამოყენების მასშტაბებიც გაიზარდოს

| დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | | |
|---|---|---|---|
| 2012წ | 2014წ | ფაქტობრივი დასრულება<br>დაგეგმილი დასრულება |  |



| შემდგომი ნაბიჯები |
|---|
| ვალდებულება OGP OGP-ს არ შეესაბამება. ის მომავალი სამოქმედო გეგმიდან ამოღებული უნდა იქნეს. |

TOC

## რა მოხდა?

ეს ვალდებულება უკვე დასრულებულია, თუმცა გარკვეული ტექნიკური დაბრკოლებები ჯერ კიდევ გადასალახავია. კერძოდ, ზოგიერთი ადამიანი, რომლებიც შემთხვევითი შერჩევის გზით იქნენ შერჩეული ნაფიც მსაჯულებად, ქართულად ვერ მეტყველებდა, ან მათ არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც მოსალოდნელზე ნაკლები რაოდენობის ნაფიცი მსაჯული შეირჩა.[1]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ყველა დაინტერესებული მხარე თანხმდება იმაში, რომ ეს ვალდებულება OGP-ის ღირებულებების თვალსაზრისით მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ არის. საქართველოს მთავრობა გეგმავს, ამოიღოს ის ამჟამად შემუშავების პროცესში მყოფი ახალი სამოქმედო გეგმიდან.[2]

## წინ გადადგმული ნაბიჯები

მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება უკვე დასრულებულია, დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ ის OGP-ის კუთხით მნიშვნელოვანი არ არის და, შესაბამისად, ამოღებული უნდა იქნეს. IRM-ის მკვლევარის რეკომენდაციაა, ეს ვალდებულება მომავალ სამოქმედო გეგმაში არ იქნეს შეტანილი.

---

[1] IRM-ის მკვლევარის ინტერვიუ მამუკა ახვლედიანთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან, ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის მენეჯერთან, 2013 წლის 26 სექტემბერი.
[2] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება; მიხელიძე, განმეორებითი ციტირება.

## 3.4. გამჭვირვალობა პარტიათა დაფინანსებაში

2011 წელს საქართველომ დაადგინა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სრულიად ახალი წესები, რომლებსაც მხარი დაუჭირა ვენეციის კომისიამ. ამ წესების წყალობით საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ, რა წყაროებიდან იღებს დაფინანსებას ესა თუ ის პოლიტიკური პარტია. ეს სისტემა პარტიათა დაფინანსების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციები და შემომწირველთა შესახებ ინფორმაცია საჯარო იქნება.

ვადები: 2012 წელს დაიწყოდა კიდევ ორ წელს გაგრძელდება.

პასუხისმგებელი უწყება: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

| ვალდებულების აღწერა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ანგარიშ ვალდებუ ლება** | **წამყვანი დაწესებულება** | სახელმწიფო აუდიტის სამსახური (ყოფილი საქართველოს კონტროლის პალატა) | | | | |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობები არ მოიპოვება | | | | |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა | | | | |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | საშუალო (ვალდებულების ტექსტი იმგვარ ღონისძიებას აღწერს, რომლის შემოწმებაც ობიექტურად შესაძლებელია, მაგრამ არ შეიცავს კონკრეტულ მიღწევებს ან საბოლოო შედეგებს) | | | | |
| **მიმართება** | **OGP-ის დიდი გამოწვევები** | საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება | | | | |
| | **OGP-ის ღირებულებები** | | | | | |
| | **ინფორმაციისხელმ ისაწვდომობა** | **მოქალაქეთაჩა რთულობა** | **ანგარიშ ვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** | |
| | ✘ | | | | | |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრეარსებული**<br>ადრეარსებული | **პოტენციური შედეგი**<br>ტრანსფორმაციული (ვალდებულებაგულისხმობსრეფორმას, რომელსაცშესაბამი სსტრატეგიულსფეროშიმიმდინარეპროცესის„ჩვეულრეჟიმში“გარდაქმნისპოტენ ციალიაქვს) |

| დასრულების დონე<br>მიღწევა 1. პოლიტიკურ პარტიათა ფინანსური დეკლარაციები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იქნება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დაწყების თარიღი:**<br>2012წ | **დასრულების თარიღი:**<br>2014წ | | არ დაწყებულა | შეზღუდული | არსებითი | დასრულებული |
| | | ფაქტობრივი დასრულება | | | ▲ | |
| | | დაგეგმილი დასრულება | | | | ▼ |

| შემდგომი ნაბიჯები |
|---|
| პარტიათა დაფინანსების ყველა მონაცემის ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნება |

TOC

## რა მოხდა?

ამ ვალდებულების შესრულება 2012 წელს, OGP-ის სამოქმედო გეგმის მიღებამდე, დაიწყო და შეფასების პერიოდისათვის უკვე დასრულებული იყო. კერძოდ, 2012 წლის იანვრიდან მოყოლებული, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (ყოფილი საქართველოს კონტროლის პალატა) ყველა პოლიტიკური პარტიის ფინანსური დეკლარაციებისა და მათი საარჩევნო კამპანიის შემომწირველთა შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება დაიწყო. ასევე შეიქმნა სტანდარტული ფორმები, რომლებშიც პოლიტიკურ პარტიებს შეაქვთ სხვადასხვა სახის მონაცემები თავიანთი შემოსავლების, ხარჯებისა და ფინანსური ოპერაციების შესახებ.[1]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

დაინტერესებული მხარეები საქართველოს მთავრობის მიერ ამ ვალდებულების შესრულებას პარტიათა დაფინანსებაში კორუფციის თავიდან აცილების კუთხით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებენ.[2]

## წინგადადგმული ნაბიჯები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიმართ მთავარი რეკომენდაციაა, დაიწყოს  პარტიათა დაფინანსების ყველა მონაცემის ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნება, რათა ისინი უფრო მარტივად გამოსაყენებელი იყოს.[3]

---

[1] სახელმწიფო აუდიტის სამსახური, http://sao.ge/monitoring-service-of-finance/declaration/declaration-forms
[2] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.
[3] იქვე; IRM-ის მკვლევარის ინტერვიუ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროს ანალიტიკოს მათიას ჰუტერთან, 2013 წლის 17 ოქტომბერი.

TOC

# 4 | ინოვაცია ხარჯვის ეფექტიანობის მისაღწევად

## 4.1. ელექტრონული შესყიდვების სამამულო კონცეფცია

*2003 წლამდე სახელმწიფო შესყიდვები კორუფციული გარიგებების ერთგვარი „წყნარი სავანე“ იყო. ამ სისტემაზე უარი ითქვა და სახელმწიფო შესყიდვების ახალი პლატფორმა –www.procurement.gov.ge –დაინერგა. ამჟამად სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ ონლაინ რეჟიმში შეიძლება განხორციელდეს. კორუფციის შესაძლებლობა ნულოვანია, რადგან ვაჭრობის პროცესი ვებგვერდზე ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, დააკვირდეს მას. სრულად გარანტირებულია კონკურენტუნარიანობა. მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფისათვის შეიქმნა დავების განხილვის საბჭო, რომელშიც საჯარო მოხელეები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი. ამ ინოვაციური მიდგომის წყალობით სახელმწიფომ დაზოგა 202 მილიონი ლარი, რომელიც შესყიდვების ბიუჯეტის 14%–ია. იგეგმება სისტემის შემდგომი დახვეწა–სრულყოფა, ფასისა და ხარისხის კრიტერიუმების დაბალანსების ახალი საშუალებების გამონახვა და სისტემის ანალიტიკური მოდულის გაუმჯობესება. საქართველოს მთავრობა აუქციონების შემთხვევაშიც ონლაინპლატფორმას –www.eauction.ge– და ონლაინტენდერებს იყენებს. პრინციპები ამ შემთხვევაშიც იგივეა: სრული გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და თანაბარი კონკურენცია. სამომავლოდ ელექტრონული აუქციონების სისტემა ისე გარდაიქმნება, რომ მისი გამოყენება უფრო მოსახერხებელი იყოს.*

*ვადები: მიმდინარეობს და კიდევ ორ წელს გაგრძელდება.*

*პასუხისმგებელი უწყება: კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო*

<table>
<tr><th colspan="6">ვალდებულების აღწერა</th></tr>
<tr><td rowspan="3">ანგარიშ ვალდებუ ლება</td><td>წამყვანი დაწესებულება</td><td colspan="4">კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</td></tr>
<tr><td>დამხმარე დაწესებულება</td><td colspan="4">ცნობები არ მოიპოვება</td></tr>
<tr><td>საკონტაქტო პირი მითითებულია?</td><td colspan="4">არა</td></tr>
<tr><td colspan="2">სპეციფიკადაგაზომვადობა</td><td colspan="4">დაბალი (ვალდებულების ტექსტი ღონისძიებას ისე აღწერს, რომ მკითხველის მხრიდან გარკვეული ინტერპრეტაციაა საჭირო მისი გაზომვადობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად)</td></tr>
<tr><td rowspan="4">მიმართება</td><td>OGP–ის დიდი გამოწვევები</td><td colspan="4">საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა</td></tr>
<tr><td colspan="5">OGP–ის ღირებულებები</td></tr>
<tr><td>ინფორმაციისხელმ ისაწვდომობა</td><td>მოქალაქეთაჩა რთულობა</td><td>ანგარიშ ვალდებულება</td><td>ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის</td><td>არცერთი</td></tr>
<tr><td>✘</td><td></td><td>✘</td><td>✘</td><td></td></tr>
<tr><th colspan="6">მისწრაფება</th></tr>
<tr><td colspan="2">ახალი vs. ადრეარსებული<br>ადრეარსებული</td><td colspan="4">პოტენციური შედეგი<br>ტრანსფორმაციული (ვალდებულებაგულისხმობსრეფორმას, რომელსაცშესაბამის სტრატეგიულსფეროშიმიმდინარეპროცესის„ჩვეულრეჟიმში“გარდაქმნისპოტენცი ალიაქვს)</td></tr>
</table>

TOC

**დასრულების დონე**
მიღწევა 1. სისტემის ანალიტიკური მოდული გაუმჯობესდება და ფასისა და ხარისხის კრიტერიუმები უკეთ დაბალანსდება

| დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | ფაქტობრივი დასრულება / დაგეგმილი დასრულება | არ დაწყებულა · შეზღუდული · არსებითი · დასრულებული |
|---|---|---|---|
| 2012წ | 2014წ | | |

**შემდგომი ნაბიჯები**

ვალდებულება დასრულებულია, მაგრამ შესაძლებელია ვალდებულების შემდგომი გაუმჯობესება იმგვარი ცვლილებების შეტანით, რომლებიც არსებულ სისტემას დახვეწს და მის ეფექტიან დანერგვას უზრუნველყოფს.

## რა მოხდა?

ეს არის კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც საქართველოს მთავრობას OGP-ში გაწევრებამდე ჰქონდა აღებული და რომელიც უკვე დასრულებულია. მიუხედავად ამისა, შემუშავებას საჭიროებს ფასისა და ხარისხის კრიტერიუმების დაბალანსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი. 2010 წლის დეკემბრის შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge[1]), რომელზედაც 19,000 მომხმარებელია დარეგისტრირებული, 4 მილიარდი ლარის ღირებულების საჯარო ტენდერები გაიმართა. ამ სისტემის წყალობით ხელისუფლებამ 500 მილიონ ლარზე მეტი დაზოგა. ამ წლების განმავლობაში აღნიშნულ სისტემას დამატებითი ინსტრუმენტები ემატებოდა, რის შედეგადაც მომხმარებლებს უფრო ადვილად შეეძლოთ სისტემაში არსებული მონაცემების მოძიება. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ასევე შექმნა სასარგებლო ფილტრებით აღჭურვილი ანალიტიკური მოდული, რომელიც ყველა ტენდერს კატეგორიებად ჰყოფს და სახელმწიფო სახსრების ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევებს ავლენს.[2]

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ელექტრონული შესყიდვების სისტემა საკმაოდ ამბიციური პროექტია და, ფაქტობრივად, „მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის“ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს. მისი გამოცდილება ბევრ სხვა ქვეყანაში შეიძლება იქნეს გამოყენებული სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში კორუფციასთან ბრძოლის კუთხით.[3] მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარეები მაინც იძლევიან რამდენიმე რეკომენდაციას არსებული სისტემის შემდგომი დახვეწისათვის.

## წინგადადგმული ნაბიჯები

IRM-ის მკვლევარი ეთანხმება დაინტერესებულ მხარეთა შემდეგ რეკომენდაციებს:

- აღნიშნული სისტემის ფარგლებში შევიდეს და მის ვებგვერდზე გამოქვეყნდეს იმ საჯარო დაწესებულებების ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სუბიექტების ტენდერები, რომლებიც ამჟამად ელექტრონული შესყიდვების სისტემაში რეგისტრირებული არ არიან, მაგრამ მნიშვნელოვან სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებენ (მაგალითად, საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები, საქართველოს რკინიგზა და საპარტნიორო ფონდი);[4]
- მიკერძოებულობისა და დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ უნდა გამონახოს საშუალება, რომ ყველაზე დაბალი ფასის მოთხოვნა ისეთი მოთხოვნებით დააბალანსოს, როგორიცაა, მაგალითად, შესყიდული პროდუქციის ხარისხი ან მიმწოდებლის კვალიფიკაცია და გამოცდილება;[5]
- დროა, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყოს ფიქრი დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის განაცხადის პროგრამირების ინტერფეისის (API) შექმნაზე, რათა მათ მიეცეთ ანგარიშვალდებულების კუთხით უფრო დეტალური ძებნის საშუალება. ეს ამ ორგანიზაციებს მთავრობის ოფიციალური მონაცემების შემცველი საკუთარი ვერსიების შექმნის საჭიროებისაგან გაათავისუფლებდა, როგორც ეს, მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველომ“ გააკეთა, როდესაც მან ელექტრონული შესყიდვების მონაცემთა პაკეტი საკუთარ ვებგვერდზე (http://tendermonitor.ge/en) გადაიტანა.[6] განაცხადის პროგრამირების ინტერფეისი (API) ხელს შეუწყობს ინოვაციას და უფრო ეფექტიანს გახდის მთავრობის ძალისხმევას უმუშევრობის დაძლევისათვის იმით, რომ, მაგალითად, მომხმარებლებს მისცემს საშუალებას, http://procurement.gov.ge -ზე შექმნან შუალედური განაცხადები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები სამუშაოს იშოვიან ან საკუთარ ბიზნესს წამოიწყებენ.[7]

TOC

[1] კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, http://bit.ly/1eEBoVb
[2] მარღანია დავით, „ყველა ყველაფერს ხედავს“, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, პრეზენტაციის სლაიდები, თბილისი, 2013 წ.
[3] ჰუტერი, განმეორებითი ციტირება; დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.
[4] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა“, თბილისი, 2013 წლის ივნისი, http://bit.ly/1akglCv
[5] იქვე.
[6] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, http://tendermonitor.ge/en
[7] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება; ჰუტერი, განმეორებითი ციტირება.

## 4.2. ელექტრონული დეკლარაციები

*საჯარო მოხელეები ვალდებული არიან, ფინანსური დეკლარაციები წარადგინონ www.declaration.ge–ზე, რომელზედაც ისინი ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. საქართველოს მთავრობა გააუმჯობესებს არსებულ სისტემას და მონიტორინგის ახალ მექანიზმს დანერგავს.*

*ვადები: მიმდინარეობს და კიდევ ორ წელს გაგრძელდება.*

*პასუხისმგებელი უწყება: საჯარო სამსახურის ბიურო*

| ვალდებულების აღწერა | | |
|---|---|---|
| **ანგარიშ ვალდებულება** | **წამყვანი დაწესებულება** | საჯარო სამსახურის ბიურო |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობები არ მოიპოვება |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | საშუალო (ვალდებულების ტექსტი იმგვარ ღონისძიებას აღწერს, რომლის შემოწმებაც ობიექტურად შესაძლებელია, მაგრამ არ შეიცავს კონკრეტულ მიღწევებს ან საბოლოო შედეგებს) |
| **მიმართება** | **OGP–ის დიდი გამოწვევები** | საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება |

**მიმართება — OGP–ის ღირებულებები**

| ინფორმაციისხელმისაწვდომობა | მოქალაქეთაჩართულობა | ანგარიშვალდებულება | ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის | არცერთი |
|---|---|---|---|---|
| ✘ | | ✘ | | |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ახალი | **პოტენციური შედეგი**<br>ტრანსფორმაციული (ვალდებულება გულისხმობს რეფორმას, რომელსაც შესაბამის სტრატეგიულ სფეროში მიმდინარე პროცესის „ჩვეულრეჟიმში“ გარდაქმნის პოტენციალი აქვს) |

**დასრულების დონე**
მიღწევა 1. არსებული სისტემა გაუმჯობესდება და მონიტორინგის ახალი მექანიზმი დაინერგება

| დაწყების თარიღი: | დასრულების თარიღი: | | არ დაწყებულა | შეზღუდული | არსებითი | დასრულებული |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2012წ | 2014წ | ფაქტობრივი დასრულება | | ▼ | | |
| | | დაგეგმილი დასრულება | | | ▲ | |

| შემდგომი ნაბიჯები |
|---|
| შემდგომი მუშაობა ძირითად შესრულებაზე |

TOC

## რა მოხდა?

ეს ვალდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ძალიან მნიშვნელოვან ვალდებულებად მიაჩნიათ, მაგრამ მისი დასრულების დონე შეფასების პერიოდში შეზღუდული იყო. კერძოდ, გაურკვეველია თუ როგორ გაუმჯობესდა არსებული სისტემა. გარდა ამისა, მთავრობას ჯერ არ დაუნერგავს მონიტორინგის მექანიზმი საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების შინაარსის გადასამოწმებლად.

## ჰქონდა მას მნიშვნელობა?

ამ ვალდებულებაზე პასუხისმგებელი უწყების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის– საჯარო სამსახურის ბიუროს, წარმომადგენლებმა IRM–ის მკვლევართან საუბრისას აღნიშნეს, რომ უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელსაც ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი დაევალება და რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ამ ფუნქციის შესასრულებლად ყველაზე შესაფერისი სუბიექტია. საჯარო სამსახურის ბიურო საფუძვლიანი მონიტორინგის თაობაზე შეთანხმების შემუშავებისათვის აქტიურად თანამშრომლობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან. ამ შეთანხმებით დაცული იქნება საჯარო მოხელეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. საჯარო სამსახურის ბიურო ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიო ბანკის უცხოელ ექსპერტებთან მონიტორინგის მეთოდის შერჩევის საკითხში. განიხილება შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენება, რომლის პრინციპი გულისხმობს, რომ სისტემა 3,000 დეკლარაციიდან თავად შეარჩევს 100 დეკლარაციას მონიტორინგისათვის. საჯარო სამსახურის ბიურო იმ საჯარო მოხელეთა დეკლარაციებსაც შეამოწმებს, რომლებზედაც არსებობს ვარაუდი, რომ კორუფციულ საქმიანობას ეწევიან. ასეთ შემთხვევებში გამოძიებაში შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოებიც ჩაერთვებიან.[3] დაინტერესებული მხარეების აზრით, იმისათვის, რომ მონიტორინგის რომელიმე სისტემამ ეფექტიანად იმუშაოს, მას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ყველა სამთავრობო უწყების პასუხისმგებლობას და შექმნის ავტონომიური ზედამხედველობის მექანიზმებს, რომლებიც სისტემის ეფექტიანი დანერგვის უზრუნველსაყოფად, თავის მხრივ, საზოგადოებას ააქტიურებენ.[4]

## წინგადადგმული ნაბიჯები

ამ ვალდებულების დასრულების დონე შეზღუდული იყო. თუმცა შეფასების შემდგომი პერიოდიდან გარკვეული მნიშვნელოვანი მოვლენები ვითარდება. აღნიშნული ვალდებულების შესრულებაში წარმატების მისაღწევად რამდენიმე ღონისძიება განხორციელდა. კერძოდ, 2013 წლის სექტემბერში საჯარო სამსახურის ბიუროსა და იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე საჯარო სამსახურის ბიუროსათვის ქონებრივი დეკლარაციების წარდგენა უკვე ახალი კატეგორიის საჯარო მოხელეებს (მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 500–ია) ევალებათ. საჯარო მოხელეთა ამ კატეგორიას განეკუთვნებიან სამინისტროების შუა რგოლის მუშაკები, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, აგრეთვე იმ კომპანიების დირექტორები, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენენ ცენტრალურ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საკუთრებას.[5] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინადადებაა, ეს სია გაფართოვდეს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ყველა წევრი მოიცვას.[6] გარდა ამისა, საჯარო სამსახურის ბიურო გეგმავს მამხილებელთა დაცვის დეტალური დებულებების შემუშავებას „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანად.[7] ბიურო ასევე აპირებს, იმუშაოს საჯარო ეთიკის საკითხზე, რისთვისაც ყველა საჯარო მოხელისათვის ეთიკის კუთხით სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდება ან სავალდებულო ეთიკის კოდექსი მიიღება. IRM–ის მკვლევარის რეკომენდაციაა, ეს ვალდებულება გადაიხედოს დაინტერესებულ მხარეთა მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით. ის მომავალი სამოქმედო გეგმის განხორციელების გაუმჯობესების გარანტიასაც უნდა შეიცავდეს.

---

[1] IRM–ის მკვლევარის ინტერვიუ საჯარო სამსახურის ბიუროს რეფორმისა და განვითარების დეპარტამენტის უფროს თამთა ცოცხალაშვილთან და საჯარო სამსახურის ბიუროს დირექტორის მოადგილე მაკა კურტანიძესთან, 2013 წლის 26 სექტემბერი.
[2] იქვე.
[3] იქვე; თამთა ცოცხალაშვილი, „ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის იმპლემენტაცია საქართველოში", საჯარო სამსახურის ბიურო, პრეზენტაციის სლაიდები, 2013 წლის 1 ოქტომბერი.
[4] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.
[5] ცოცხალაშვილი, განმეორებითი ციტირება.
[6] ურუშაძე ერეკლე, „ქონებრივი დეკლარაციების წარმდგენ თანამდებობის პირთა წრე უნდა გაფართოვდეს",„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო", 2013 წლის 8 ოქტომბერი, http://bit.ly/1akhudt
[7] საქართველოს მთავრობა, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", 1998 წლის 12 ივნისი, http://bit.ly/1gBFFZj



TOC

## 5. ტექნოლოგიები უსაფრთხოების სამსახურში: ICCMS, დანაშაულის ფაქტების ამსახველი რუკადა„უსაფრთხო უბანი“

*მოქალაქეთა უსაფრთხოება საქართველოსთვის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. 2011 წელს ევროკავშირის ეგიდით ჩატარებული დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეთა 70% თავს უსაფრთხოდ გრძნობს, ხოლო 95%–ს დანაშაულის დონე არ აღელვებს. 2011 წელს კომპეტენტურ ექსპერტთა გუნდმა შექმნა სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტეგრირებული სისტემა (ICCMS),, რომელმაც სისხლის სამართლის სასამართლო წარმოება ქაღალდიდან ელექტრონულ ფორმატში გადაიტანა. გამოძიებისა და პასუხისგებაში მიცემის ეტაპები საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაშია ინტეგრირებული. ელექტრონულ ფორმატშია მტკიცებულებებიც. დანაშაულთა ელექტრონული სტატისტიკა შედგება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტეგრირებული სისტემის საფუძველზე, რომელიც მონაცემების რაც შეიძლება მოკლედა იმავდროულად ყოვლისმომცველი ფორმით წარმოდგენას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო სისტემის გაუმჯობესებისათვის. დასახულ ამოცანებს შორისაა მოცულობითი სტატისტიკური და კრიმინოლოგიური მონაცემთა ბაზის ანალიზისათვის ბიზნესანალიტიკის სიახლეთა დანერგვა. საქართველოში შეიქმნებადანაშაულის შემთხვევების ამსახველი რუკების სისტემა, რომელიც პოლიციისათვის ეფექტიანი ინსტრუმენტი იქნება დანაშაულთა გეოგრაფიული განაწილების მონიტორინგისა და კონკრეტულ ზონებზე მორგებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისათვის. მთავრობა მიზნად ისახავს, განახორციელოს პროექტი „უსაფრთხო უბანი“. მოქალაქეები შეძლებენ, ონლაინ რეჟიმში დაუკავშირდნენ ადგილობრივ პროკურატურებს და მიაწოდონ მათ ინფორმაცია უბნის ზოგადი ან კონკრეტული პრობლემების შესახებ.*

*ვადები: სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტეგრირებული სისტემის დანერგვა დაწყებულია და კიდევ ორ წელს გაგრძელდება. პროექტები – დანაშაულის ფაქტების ამსახველი რუკის შედგენა და „უსაფრთხო უბანი“ – 2012 წელს დაიწყება.*

*პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს უზენაესი სასამართლო*

| ვალდებულების აღწერა | | |
|---|---|---|
| **ანგარიშ ვალდებუ ლება** | **წამყვანი დაწესებულება** | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| | **დამხმარე დაწესებულება** | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს უზენაესი სასამართლო |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | მაღალი (ვალდებულების ტექსტი ნათლად აყალიბებს დასახული ამოცანის შესასრულებლად მკაფიო, გაზომვად, დადგენადმიღწევებს) |
| **მიმართება** | **OGP–ის დიდი გამოწვევები** | უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა |

**OGP–ის ღირებულებები**

| ინფორმაციისხელმისაწვდომობა | მოქალაქეთაჩართულობა | ანგარიშვალდებულება | ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის | არცერთი |
|---|---|---|---|---|
| ✘ | | ✘ | | |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ახალი | **პოტენციურიშ ედეგი**<br>ტრანსფორმაციული (ვალდებულება გულისხმობს რეფორმას, რომელსაცშესაბამის სტრატეგიულ სფეროში მიმდინარე პროცესის„ჩვეულ რეჟიმში“გარდაქმნის პოტენციალი აქვს) |

TOC

**დასრულების დონე**
მიღწევა1. პროექტები: დანაშაულის ფაქტების ამსახველი რუკის შედგენა და„უსაფრთხო უბანი“

| **დაწყების თარიღი:** 2012წ | **დასრულების თარიღი:** მითითებული არ არის | ფაქტობრივი დასრულება<br>დაგეგმილი დასრულება | არ დაწყებულა / შეზღუდული / არსებითი / დასრულებული |
|---|---|---|---|

შემდეგი ნაბიჯები

ვალდებულების ტექსტის ხელახლა ფორმულირება იმგვარად, რომ მასში ასახული იყოს ვალდებულების მიმართება O OGP–ის ღირებულებებთან და იმასთან, თუ როგორ განავითარებს მთავრობა ამ ღირებულებებს ტექნოლოგიების ჩარევით

## რა მოხდა?

ეს ვალდებულება, რომელიც, ბევრის აზრით, საკმაოდ ამბიციურია, შეფასების პერიოდშიარ შესრულებულა. 2012 წლის ბოლოდან მოყოლებული, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეწყვიტეს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტეგრირებული სისტემის (ICCMS) ერთობლივად გამოყენება იმის გამო, რომ უზენაესმა სასამართლომ სისხლის სამართლის საქმისწარმოების საკუთარი ელექტრონული სისტემა აამოქმედა. სასამართლოს ეს ახალი სისტემა მომავალში სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტეგრირებულ სისტემას ჩაანაცვლებს და პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სისტემებთან მისი ინტეგრირება მოხდება.[1] რაც შეეხება დანაშაულის ფაქტებისამსახველ რუკებს, იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებაში დანაშაულის სტატისტიკის რუკაზე ვიზუალურად გამოსახვის პროგრამა შემუშავდა; მაგრამ ამ სისტემის სისხლის სამართალწარმოების ორგანოებში პილოტირებისათვის აუცილებელი GPS–მოწყობილობების შესყიდვა ჯერ არ მომხდარა (საერთო ხარჯი დაახლოებით 70-80 ათასი აშშ დოლარია).[2] გარდა ამისა, პროკურატურას ჯერ არ აუმოქმედებია პროექტი „უსაფრთხოუბანი“, რომელიც, თავდაპირველი ვალდებულების თანახმად, 2012 წელს უნდა დაწყებულიყო.

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოკითხულ საჯარო მოხელეებს მიაჩნიათ, რომ ტექნოლოგიური უსაფრთხოების ყველა ამ პროექტის საერთო პრობლემა პასუხისმგებელ უწყებებს შორის კოორდინაციის ნაკლებობაა. მათი თქმით, სამუშაო და ვადები უფრო მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და, რაც მთავარია, უნდა არსებობდეს ძლიერი სურვილი და მხარდაჭერა უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან.

## წინგადადგმული ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, ტექნოლოგიური უსაფრთხოების პროექტები მნიშვნელოვანია; მაგრამ ბევრად უფრო სასარგებლო იქნება, რომ დანაშაულის ყოვლისმომცველი ელექტრონული სტატისტიკა ხელმისაწვდომი იყოს ღია მონაცემთა ფორმატში, რომელზედაც, სამწუხაროდ, საზოგადოებას მოთხოვნის შემთხვევაში ხელი არ მიუწვდება.[3] IRM–ის მკვლევარის რეკომენდაციაა, ამ ვალდებულების ტექსტი ხელახლა ჩამოყალიბდეს და უფრო დაკონკრეტდეს მისი მიმართებ OGP–ის ღირებულებასთან –ტექნოლოგიებსა და ინოვაციასთან. ნათლად ჩამოყალიბებული ტექსტი უნდა შეიცავდეს იმაზე მითითებას, თუ როგორ გაზრდის დანაშაულის ფაქტების ამსახველი რუკებისა და „უსაფრთხო უბნის“ საშუალებით ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინტერვენცია ხელისუფლების გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობას. ამ ვალდებულების უკეთ შესაფასებლად ასევე საჭიროა, მასში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული როგორც თითოეული პასუხისმგებელი სამთავრობო უწყების როლი და ფუნქცია, ისე კონკრეტული შედეგები და შესრულების ვადები.

[1] IRM–ის მკვლევარის ინტერვიუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილესთან, პოლიციის ვიცე–პოლკოვნიკ დავით ალავერდაშვილთან, 2013 წლის 25 სექტემბერი; ახვლედიანი, განმეორებითი ციტირება.
[2] მიხელიძე, განმეორებითი ციტირება.
[3] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.

TOC

## 6. არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი

*როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მთავრობა უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრები წამყვანი ქართული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები არიან. გარდა ამისა, OGP-ისფარგლებში საქართველოს მთავრობა მჭიდროდ ითანამშრომლებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან: სამოქმედო გეგმით განსაზღვრული, მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერისა და მონიტორინგის მიზნით დაფუძნდება არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი.*

*ვადები: არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის წევრების შეხვედრები თვეში ერთხელ გაიმართება.*

*პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი*

| ვალდებულების აღწერა | | |
|---|---|---|
| **ანგარიშვალდებულება** | **წამყვანი დაწესებულება** | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი |
| | **დამხმარე დაწესებულება** | ცნობები არ მოიპოვება |
| | **საკონტაქტო პირი მითითებულია?** | არა |
| **სპეციფიკადაგაზომვადობა** | | მაღალი (ვალდებულების ტექსტი ნათლად აყალიბებს დასახული ამოცანის შესასრულებლად მკაფიო, გაზომვად, დადგენად მიღწევებს) |

| **მიმართება** | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **OGP-ის დიდი გამოწვევები** | საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება | | | | |
| **OGP-ის ღირებულებები** | | | | | |
| | **ინფორმაციისხელმისაწვდომობა** | **მოქალაქეთაჩართულობა** | **ანგარიშვალდებულება** | **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** | **არცერთი** |
| | ✘ | ✘ | | | |

| მისწრაფება | |
|---|---|
| **ახალი vs. ადრე არსებული**<br>ახალი | **პოტენციური შედეგი**<br>ტრანსფორმაციული (ვალდებულება გულისხმობს რეფორმას, რომელსაც შესაბამის სტრატეგიულ სფეროში მიმდინარე პროცესის„ჩვეულრეჟიმში“გარდაქმნის პოტენციალი აქვს) |

**დასრულების დონე**
მიღწევა 1. დაარსდება არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი

| **დაწყების თარიღი:**<br>მითითებული არ არის | **დასრულების თარიღი:**<br>მითითებული არ არის | ფაქტობრივი დასრულება<br><br>დაგეგმილი დასრულება |  |
|---|---|---|---|



| შემდგომი ნაბიჯები |
|---|
| ვალდებულების უკეთ შესრულება მისი სულისკვეთების შესაბამისად |

TOC

## რა მოხდა?

იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა ამ ვალდებულების შესრულება 2012 წლის აპრილში OGP-ის სამოქმედო გეგმის წარდგენასთან ერთად დაიწყო. 2012 წლის ნოემბრიდან კი აღნიშნული ვალდებულების შესრულება მოულოდნელად შეწყდა.

## ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმმა სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პირდაპირი ზემოქმედება ვერ მოახდინა. რვა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობით ორგანიზებული ფორუმის შეხვედრებს, ძირითადად, ოთხი ორგანიზაცია („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „ჯამპსტარტ ჯორჯია“) ესწრებოდა. ეს ოთხი ორგანიზაცია განმსაზღვრელ როლს ასრულებდა OGP-ის კონსულტაციების პროცესში. სხვა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ან ნაკლებად ინფორმირებული იყვნენ ან ინტერესი არ ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ სამუშაო შეხვედრებში, რის გამოც ფორუმი გადაიქცა ერთგვარ კლუბად, სადაც მხოლოდ წამყვანი ექსპერტები მართავდნენ დისკუსიებს.[1] გარდა ამისა, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნების, მანდატისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიის არარსებობის გამო არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმმა ვერ შეძლო გადაწყვეტილებების მიღებაზე რაიმე რეალური გავლენის მოხდენა. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იუსტიციის სამინისტროს არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის შეხვედრები აღარ გაუმართავს. ამ ეტაპზე OGP-ის საკითხებში მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობა სპონტანური და არაორგანიზებულია და რამდენიმე დაუგეგმავი მრგვალი მაგიდის შეხვედრითა და კონფერენციით შემოიფარგლება.

## წინგადადგმული ნაბიჯები

დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ საქართველოში უნდა არსებობდეს OGP-ის საკოორდინაციო მექანიზმი. მას უფრო სტრუქტურირებული ფორმა უნდა ჰქონდეს, ვიდრე მის წინამორბედს, და იგი უნდა ეფუძნებოდეს მკაფიო მანდატს, რომელშიც ყველა მონაწილის როლი და პასუხისმგებლობა იქნება განსაზღვრული.[2] იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მონიტორინგი და დახმარება ამ ახალი მექანიზმის მთავარი ფუნქცია უნდა იყოს. მას ასევე უნდა ჰყავდეს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან დისკუსიების კოორდინაციისთვის.[3] IRM-ის მკვლევარის რეკომენდაციებია:

- OGP-ის სულისკვეთების მიხედვით, საკოორდინაციო შეხვედრები უფრო ღია და ფართო ფორმატის უნდა იყოს და მათ პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულებების, დარგობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის, ბიზნესის, დონორი ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები უნდა ესწრებოდნენ;
- დღის წესრიგი და ყველა დოკუმენტი, რომლებიც განსახილველად წარედგინებათ დაინტერესებულ მხარეებს, მათ საკოორდინაციო შეხვედრებამდე სულ მცირე ერთი კვირით ადრე უნდა გადაეცეთ;
- უნდა არსებობდეს პირი, რომელიც შეხვედრებზე განხილული საკითხების შესახებ ჩანაწერებს გააკეთებს და მათ ონლაინ რეჟიმში გამოაქვეყნებს, რომ ყველამ იცოდეს, რა ხდება OGP-ის კუთხით;[4]
- ლოგიკურია, რომ აღნიშნულ ვალდებულებაზე პასუხისმგებელმა უწყებამ, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, OGP-ის ვალდებულებების კოორდინაციასა და პრაქტიკაში განხორციელებას უხელმძღვანელოს. ამასთან ერთად, უნდა გაძლიერდეს პრემიერ მინისტრის აპარატის შესაძლებლობები იმგვარად, რომ მან მასზე დაკისრებული ზედამხედველობის ფუნქცია ეფექტურად განახორციელოს;[5]
- იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა IRM-ის მკვლევართან საუბრისას აღნიშნეს, რომსამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებამეტად ღირებულია და რომ მათგან OGP-ის სხვადასხვა ასპექტზე უფრო მეტ ინოვაციურ იდეას ელოდებიან. ამდენად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, თავის მხრივ, უფრო აქტიურად უნდა ითხოვდნენ რეფორმების განხორციელებას და მთავრობას ახალ იდეებს უნდა სთავაზობდნენ.

TOC

[1] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ღია მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“, განმეორებითი ციტირება, http://bit.ly/1dqB9hL
[2] დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.
[3] მიხელიძე, განმეორებითი ციტირება.
4 „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ღია მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“, განმეორებითი ციტირება.; დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრები, განმეორებითი ციტირება.
[5] IRM -ის მკვლევარის ინტერვიუ USAID -ის დემოკრატიისა და მმართველობის კავკასიის ოფისის პროექტების მართვის სპეციალისტ ლინა პანტელეევასთან, 2013 წლის 8 ოქტომბერი

# V | თვითშეფასების კითხვარი

## ამ განყოფილებაში მოცემულია მთავრობის მიერ თავისი სამოქმედო გეგმის თვითშეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა.

2013 წლის 1 ნოემბრისათვის საქართველოს მთავრობას OGP-ის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ თვითშეფასების ანგარიში, რომელიც 2013 წლის 30 სექტემბრისათვის უნდა ყოფილიყო მზად, გამოქვეყნებული არ ჰქონდა.

**ცხრილი 2. თვითშეფასების კითხვარი**

| | |
|---|---|
| გამოქვეყნდა თუ არა მიმდინარეობის ყოველწლიური მოხსენება? | ☐ დიახ ☒ არა |
| გამოქვეყნდა თუ არა მოხსენება განრიგის დაცვით? | მითითებული არ არის |
| არის თუ არა მოხსენება ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე? | მითითებული არ არის |
| დაინტერესებულ მხარეთა აზრით, ადეკვატური იყო ეს? | მითითებული არ არის |
| არის თუ არა მოხსენება ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე? | მითითებული არ არის |
| უზრუნველყო თუ არა მთავრობამ თვითშეფასების ანგარიშების პროექტების გამოქვეყნებიდან ორკვირიანი შუალედი საჯარო კომენტარებისათვის? | მითითებული არ არის |
| გაკეთდა თუ არა საჯარო კომენტარები? | მითითებული არ არის |
| განთავსდა თუ არა მოხსენება OGP-ის პორტალზე? | მითითებული არ არის |
| შეიცავდა თუ არა თვითშეფასების ანგარიში კონსულტაციების შედეგების მიმოხილვას? | მითითებული არ არის |
| აისახა თუ არა მოხსენებაში ყველა ვალდებულება? | მითითებული არ არის |
| შეფასდა თუ არა დასრულება დადგენილი განრიგის მიხედვით? | მითითებული არ არის |
| ადასტურებდა თუ არა მოხსენება ლიაობის ვალდებულებას? | მითითებული არ არის |
| გვიჩვენებს თუ არა მოხსენება სამოქმედო გეგმის დიდ გამოწვევებთან მიმართებას? | მითითებული არ არის |

TOC

TOC

# VI | წინ გადადგმული ნაბიჯები

ამ განყოფილებაში OGP-ის სამოქმედო გეგმა უფრო ფართო კონტექსტშია განხილული და გამოკვეთილია წინა განყოფილებებში ასახული პოტენციური შემდგომი ნაბიჯები, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეთა მიერ ჩამოყალიბებული პრიორიტეტები.

## ქვეყნის კონტექსტი

IRM-ის კვლევის ამოსავალი პრინციპების მიხედვით, ამ განყოფილებაში განხილულია ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც არ შედის საქართველოს OGP-ის სამოქმედო გეგმაში, მაგრამ გარკვეულწილად დაკავშირებულია OGP-ში მის წევრობასთან და, საზოგადოდ, OGP-ის ღირებულებებთან.

2012 წლის მაისში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელშიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლება-მოვალეობები ჩამოყალიბდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ძირითადი მოვალეობებია:

- პირადი მონაცემების დაცვის საშუალებების შესახებ ინსტრუქციების შემუშავება;
- მოქალაქეთა საჩივრების განხილვა;
- სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირის კანონთან შესაბამისობის შემოწმება;
- ამ კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

2016 წლიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი უფლებამოსილი იქნება, სანქციები დაუწესოს იმ ფიზიკურ პირებს და სხვა სუბიექტებს, რომლებსაც კავშირი ექნებათ მონაცემების უკანონო შეგროვებასთან ან დამუშავებასთან.[1] ეს მნიშვნელოვანი ახალი მექანიზმია კონფიდენციალურობის დაცვის საკითხებზე საზოგადოებრივი კონტროლისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის თვალსაზრისით; მაგრამ კანონი არ ვრცელდება ზოგიერთი მნიშვნელოვანი კატეგორიის მონაცემებზე, მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვის, სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო წარმოების მიზნით შეგროვებულ მონაცემებზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს“ მიაჩნია, რომ ამან შეიძლება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გაურთულოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული თვალთვალის ეფექტიანი მონიტორინგი, ისეთისა, როგორიც იყო, მაგალითად, წარსულში უკანონო სატელეფონო მოსმენები, ინტერნეტის ტრაფიკის მონიტორინგი და აუდიო- და ვიდეო თვალთვალი სასამართლოს მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვების გარეშე.[2]

2013 წლის მაისში იმ რეკომენდაციების საფუძველზე, რომლებიც „კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ შეიმუშავა,[3] ამოქმედდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ახალი ცვლილება, რომლებიც საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას ემსახურებოდა.[4] ამ ცვლილების თანახმად, სასამართლო ვალდებულია, დაუშვას სასამართლო პროცესების აუდიო-, ფოტო- და ვიდეოჩაწერა და ამ ჩანაწერების გასაჯაროება მოთხოვნის საფუძველზე.[5] ამასთანავე, შემოსული საჩივრების განმხილველ და მოსამართლეთა ქცევის თაობაზე გადაწყვეტილებების მიმღებ სადისციპლინო კოლეგიაში თავად მოსამართლეთა გარდა აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც უნდა შედიოდნენ. გარდა ამისა, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე -ეს საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებისთვის პასუხისმგებელი უმაღლესი ორგანოა.[6] აღნიშნულ ცვლილებას აქტიურად უჭერდნენ მხარს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც წარსულში სასამართლოებიდან გარკვეული მნიშვნელოვანი მონაცემების გამოთხოვის დროსსირთულეებს აწყდებოდნენ.[7]

## ამჟამინდელი გეგმა: დაინტერესებულ მხარეთა პრიორიტეტები

ინფორმაცია საქართველოში OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფართო ჯგუფში იმ რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ძალისხმევის წყალობით გავრცელდა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ წინასწარი კონსულტაციების პროცესში ჩართო. სამოქალაქო საზოგადოების ამ ორგანიზაციებმა გაერთიანებული ძალისხმევით შეძლეს, გავლენა მოეხდინათ მთავრობის თავდაპირველ გეგმაზე და საქართველოს საბოლოო სამოქმედო გეგმა OGP-ის ძირითად პრინციპებსა და ამოცანებთან უფრო თავსებადი გაეხადათ. სამოქმედო გეგმა მთავრობის ადრე არსებული რეფორმებიდან ამოდის და მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით OGP-ის ზოგ ახალ კონკრეტულ ვალდებულებასაც მოიცავს. ამასთანავე, სამოქმედო გეგმა შეიცავს ინფორმაციას თითოეულ ვალდებულებაზე პასუხისმგებელი უწყებისა და დასახული მიზნის მისაღწევად კონკრეტული საბოლოო შედეგებისა და ვადებისთაობაზე.[8] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, საზოგადოდ, დადებითად აფასებენ სამოქმედო გეგმას და მიაჩნიათ, რომის შეიცავს რეალისტურ ვალდებულებებს, რომელთა შესრულებაც ხელისუფლების ნებაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე რესურსებსა და შესაძლებლობებზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კრიტიკა, ძირითადად, ორ საკითხს ეხება: პირველი, რომ ხელისუფლების ვალდებულებები, ფაქტობრივად, OGP-სთან შეერთებამდე დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს, და მეორე, რომ ეს ვალდებულებები OGP-ის უმთავრესი ელემენტების -ღია მონაცემებისა და საზოგადოების ჩართულობის – როლისა და მნიშვნელობის

TOC

გაზრდას ნაკლებად ემსახურება.

იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის თქმით, პირველი სამოქმედო გეგმა სრულად შეესაბამება OGP-ის ღირებულებებს და მიმართულია OGP-ის ხუთი„დიდი გამოწვევიდან“ ოთხის შესრულებისაკენ: საჯარო მომსახურების გაუმჯობესებისაკენ, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების გაზრდისაკენ, სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვისაკენ და უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნისაკენ. ამასთან, პირველი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს მიღებული გაკვეთილები მთავრობას დაეხმარება უკეთესი მეორე სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კრიტიკის საპასუხოდ იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა განაცხადა: „ცუდი არაფერია იმაში, რომ სამოქმედო გეგმა ადრე არსებულ ვალდებულებებს შეიცავს. პირიქით, ამით სამოქმედო გეგმა ამ ვალდებულებებს საერთაშორისო დონეზე ავითარებს და ზრდის ანგარიშვალდებულების ხარისხს მათ შესასრულებლად.“ მისი განცხადებით, ღია მონაცემებისა და საზოგადოების ჩართულობის კუთხით არსებული გამოწვევების მიუხედავად მთავრობის პრაქტიკული აქცენტი სერვისებსა და ტექნოლოგიებზე, რომლებიც ბევრ მოქალაქეს უმსუბუქებს ცხოვრებას, ხელისუფლების საქმიანობასა და სოციალურ მოთხოვნებს შორის საჭირო ბალანსის მიღწევას ემსახურება.[9]

პრობლემებზე საუბრისას იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში შეიძლებოდა, უფრო კონკრეტულად ასახულიყო პასუხისმგებელ უწყებებს შორის მოვალეობების განაწილებისა და ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების მიზნით მკაფიო კრიტერიუმებისა და ვადების განსაზღვრის საკითხები. ბიუჯეტის არასათანადო დაგეგმვასთან, რესურსების არასაკმარის მობილიზაციასა და არაკოორდინირებულ მოქმედებებთან ერთად ესეც შეიძლება იყოს იმის ძირითადი მიზეზი, რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ელექტრონული პეტიციების ონლაინ პლატფორმის- ichange.ge -ს ამოქმედება. რაც შეეხება დადებით მხარეს, აღსანიშნავია შემდეგი: 2013 წლის 9 ივლისს მთავრობის მიერ მიღებულმა განკარგულებამ და ახალი სამოქმედო გეგმის მიღებისაკენ მიმართულმა მოსამზადებელმა მოქმედებებმა აჩვენა, რომ ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, შეასრულოს პირველ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ვალდებულება.

## სამომავლო გეგმა: დაინტერესებულ მხარეთა პრიორიტეტები

დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ:

- სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს იმ „დიდი უტოპიის“ ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს ღია მმართველობა და რას ნიშნავს სრულიად ღია მმართველობის პირობებში ცხოვრება;[10]
- სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ვალდებულებებს, რომლებიც მოქალაქეებს მთავრობისაგან ინფორმაციისა და მომსახურების მიღების სასურველი სახეების მეტ არჩევანს სთავაზობს და უხსნის, როგორ წაადგება მათ ცხოვრებას ეს ვალდებულებები;
- ვალდებულებები უფრო კონკრეტული და ქმედებაზე მეტად ორიენტირებული უნდა იყოს და მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს ვადებსა და მიზნებს, რათა შესაძლებელი გახდეს გაწეული სამუშაოს უკეთ შეფასება;
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს კონტექსტური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უპასუხებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები წინასწარი კონსულტაციებისას საზოგადოებისგან მიღებულ გამოხმაურებებს;
- ინფორმაცია ღია და მოსახერხებელ ფორმატში უნდა ქვეყნდებოდეს და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გააქტიურების ახალი, ინოვაციური გზების გამონახვა უნდა ხდებოდეს.

## გამოწვევების დაძლევა: არასახელმწიფო სუბიექტების როლი

საქართველოში შეიმჩნევა სამოქალაქო აქტივობისა და საჯარო მოხალისეობის კულტურისა და მოთხოვნის დეფიციტი, რაც ხელს უშლის OGP-ის ისეთი ღირებულების განხორციელებას, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. მოქალაქეთა ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა უმეტესობას, განსაკუთრებით სოფლად, არა აქვს დრო ან შესაძლებლობა, რომ სისტემატურად იყოს ჩართული იმ სტრატეგიების შემუშავების პროცესში, რომლებიც, მათი აზრით, პირდაპირ გავლენას არ ახდენსმათ პროფესიულ თუ პირად ცხოვრებაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მასმედიამ და სამოქალაქო საზოგადოებამ აქტიურად იმოქმედონ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებისათვის და პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის კონკრეტული სასარგებლო შედეგები წარმოაჩინონ.

მასმედიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად წარმომადგენლობითმა დონორებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მთავრობის ღიაობის გაფართოებაში. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო დონორების მიერ ჩატარებულ კვლევებსა და დასკვნებზე უფრო რეაგირებს, ვიდრე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა. მაგალითად, მსოფლიო ბანკმა და USAID-მა შეიძლება ღია მონაცემთა სტანდარტებთან დაკავშირებით სასარგებლო რჩევები შესთავაზონ ხელისუფლებას, მათ შორის, მაგალითად, საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშების სახით მონაცემთა გასაჯაროების საკუთარი სტრატეგიები გაუზიარონ.

დონორებს ასევე შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების

ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაფართოებას, რათა მათ OGP–ის გარკვეული მნიშვნელოვანი მიმართულებებით მონიტორინგის განხორციელება შეძლონ. მაგალითად, ღია მონაცემებთან, ვებგვერდის შექმნასთანან საინფორმაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები საჭიროებს მაღალი დონის ტექნიკურ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელთა მიღწევაც საქართველოში მხოლოდ რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ თუ შეძლო. ეს, თავის მხრივ,სხვა დაინტერესებულ, მაგრამ ტექნოლოგიების თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს და უკარგავს სტიმულს, მონაწილეობა მიიღონ OGP–ის ირგვლივ დისკუსიებში, იმის შიშით, რომ დისკუსიებზე განხილულ რომელიმე კონკრეტულ ტექნიკურ საკითხს ვერ გაიგებენ. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმის მხოლოდ ოთხი წევრი („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“,„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ და „ჯამპსტარტ ჯორჯია“) ესწრებოდა რეგულარულად იუსტიციის სამინისტროში გამართულ შეხვედრებს და კომენტარებს აწვდიდა იუსტიციის სამინისტროს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან OGP–ის შესახებ ცოდნის, პროფესიული უნარებისა თუ ინტერესის არქონა სერიოზული გამოწვევაა და აბრკოლებს OGP–ის საკითხებზე მიმდინარე კონსულტაციებში, მონიტორინგსა თუ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში სამოქალაქო საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართვას.[11]

## რეკომენდაციები

ამ ანგარიშის შედეგების საფუძველზე IRM–ის მკვლევარი მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და დონორებს OGP–ში საქართველოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციათა შემდეგ ნუსხას სთავაზობს:

- მთავრობას უნდა ჰქონდეს ხედვა, რას ნიშნავს ღია მმართველობა საქართველოს კონტექსტში და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს ის საქართველოს საზოგადოებას;
- მთავრობამ მასმედიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით OGP–ში საქართველოს წევრობისა და ეროვნული სამოქმედო გეგმით აღებული კონკრეტული ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია უნდა ჩაატაროს ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით სოფლად;
- მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მთავრობამ წინასწარი კონსულტაციების ინკლუზიურობა და აქტიური საზოგადოებრივი უკუკავშირისათვის მკაფიო და ადვილად ხელმისაწვდომი მექანიზმების არსებობა უნდა უზრუნველყოს;
- რაც შეეხება კონკრეტულ ვალდებულებებს, მთავრობამ ყურადღება უმთავრესად იმის უზრუნველყოფაზე უნდა გაამახვილოს, რომ მოქალაქეებს მეტი არჩევანი ჰქონდეთ, მიიღონ სასურველი ინფორმაცია და მომსახურება, საჯარო ინფორმაცია ღია და მოსახერხებელ ფორმატში გამოქვეყნდეს დაგადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისათვის ახალი, ინოვაციური გზები გამოინახოს;
- მომავალი ვალდებულებები უფრო კონკრეტული და ქმედებაზე ორიენტირებული უნდა იყოს; მათში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ვადები და მიზნები, რომ მიღწეულის უკეთ შეფასება გახდეს შესაძლებელი. ხელისუფლებამ ასევეუნდა უზრუნველყოს კონტექსტური ინფორმაცია იმათან დაკავშირებით, თუ როგორ უპასუხებს ეს ვალდებულებები წინასწარი კონსულტაციებისას საზოგადოებისგან მიღებულ გამოხმაურებებს;
- მთავრობა საზოგადოებრივ სიკეთედ უნდა აღიქვამდეს მეტი დარგობრივი მონაცემის გასაჯაროებას, მაგალითად, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და გეოლოგიის სფეროებში. ქვეყანაში გამჭვირვალობის სტანდარტების გაუმჯობესებასთან ერთად, დარგობრივი მონაცემები გააღვივებს ასევე წამყვანი საერთაშორისო ინვესტორების, ტურისტებისა და მეცნიერების ინტერესს, რომლებსაც თავიანთი საქმიანობით ქვეყნის ეკონომიკისათვის სარგებლის მოტანა შეუძლიათ;
- უნდა არსებობდეს უკეთესი კოორდინაცია და კავშირი სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის, რათა მოხდეს OGP–ში საქართველოს მუშაობის გაუმჯობესების შესახებახალი იდეების გენერირება, ხელისუფლებას გაეწიოს დაეხმარება კონკრეტული ვალდებულებების შესრულებაში და რეგულარულად ხორციელდებოდეს კონტროლისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
- საერთაშორისო დონორებმა მეტი უნდა გააკეთონ, რათა საკუთარი ცოდნა–გამოცდილება გაუზიარონ მთავრობას და დაეხმარონ მასმონაცემთა გასაჯაროების სტანდარტების გაუმჯობესებასა და საჯარო ვებგვერდების ხელმისაწვდომობის გაზრდაში. მათ ასევე შეუძლიათ, ხელი შეუწყონიმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც აქტიურად არ არიან ჩართული OGP–ში, რომ მათ შეძლონ, სისტემატურად ითანამშრომლონ წამყვან დაინტერესებულ მხარეებთან და აკონტროლონ, ასრულებს თუარა მთავრობა OGP–ის მოთხოვნებს.

TOC

[1] საქართველოს მთავრობა, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, 2012 წლის 25 მაისი, http://bit.ly/1iKJCfj

[2] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებები და მოვალეობები“, 2013 წლის 3 სექტემბერი, http://bit.ly/1hkBIsD

[3] კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, „სასამართლო სისტემა საქართველოში“, 2012 წ., http://bit.ly/1gCsgQl

[4] საქართველოს მთავრობა, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“, 2010 წლის 21 ივლისი, http://bit.ly/1aiTWsz

[5] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, http://bit.ly/1iw4ji8

[6] იქვე.

[7] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ახალი სასამართლო რეფორმების შედარებითი ანალიზი“, 2013 წლის 27 თებერვალი, http://bit.ly/1k6LdL4 L4; „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სასამართლო 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ“, 2013 წლის 25 ივლისი, http://bit.ly/1cSmqrR

[8] საქართველოს მთავრობის ღია მმართველობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა, 2012 წლის აპრილი, http://bit.ly/19nOI08

[9] IRM–ის მკვლევარის ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორ რუსუდან მიხელიძესთან, 2013 წლის 3 ოქტომბერი.

[10] დაინტერესებულ მხარეთა ორი შეხვედრა თბილისში, 2013 წლის 25–27 სექტემბერი.

[11] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ღია მმართველობა საქართველოში – მიღწევები და გამოწვევები“, განმეორებითი ციტირება, http://bit.ly/1dqB9hL

TOC

# დანართი | მეთოდოლოგია

მთავრობის თვითშეფასების დამატების სახით, დამოუკიდებელი შეფასების ანგარიშს შეძლებისდაგვარად OGP-ის წევრი ყველა ქვეყნიდან წარმოდგენილი მმართველობის სფეროს ავტორიტეტული მკვლევარები ამზადებენ. ეს ექსპერტები OGP-ისათვის იყენებენ საერთო და მოუკიდებელი ანგარიშის კითხვარსა და პრინციპებს,[1] რომლებიც OGP-ის ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებისა და მეორეული (სამაგიდო) ანალიზის საფუძველზე დგება. შემდეგ კოლეგიური შეფასების მიზნით ხდება ამ ანგარიშის საერთაშორისო ექსპერტთა მცირე ჯგუფისათვის (რომლებსაც OGP-ის საკოორდინაციო კომიტეტი ნიშნავს) გაცნობა, რათა დადგინდეს, რომ კვლევა უმაღლესი სტანდარტებისა და სათანადო და ამომწურავი ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობდა. OGP-ის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანალიზი ინტერვიუების, მეორეული კვლევისა და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრების უკუკავშირის მასალებს აერთიანებს. IRM-ის ანგარიში ხელისუფლების თვითშეფასების ანგარიშისა და სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული ნებისმიერი სხვა შეფასების დასკვნებს ეფუძნება. თითოეული ადგილობრივი მკვლევარი მოვლენების ამსახველი ზუსტი სურათის შექმნისათვის დაინტერესებულ მხარეებს ხვდება. საბიუჯეტო და კალენდარული შეზღუდვების გათვალისწინებით, IRM ყველა დაინტერესებულ ან მონაწილე მხარეს ვერ დაუკავშირდება. შესაბამისად, IRM-ისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური გამჭვირვალობა. ამიტომ შეძლებისდაგვარად ხდება საჯარო პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მაქსიმალური გასაჯაროება (ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ამ საკითხს).იქ, სადაც, ქვეყნის ფარგლებში, ინფორმატორთა – სამთავრობოთა თუ არასამთავრობოთა- ანონიმურობის დაცვაა საჭირო, IRM უზრუნველყოფს მათ ანონიმურობას. გარდა ამისა, მეთოდის შეზღუდვებიდან გამომდინარე, IRM ძლიერ აქცენტს აკეთებს ყოველი სახელმწიფო დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით საზოგადოებრივი კომენტარების ხელშეწყობაზე.

## დაინტერესებულ მხარეთა შერჩევა

საქართველოში დაინტერესებულ მხარეებთან პირველი შეხვედრის ორგანიზებისას დაინტერესებულ მხარეთა შერჩევის მთავარი კრიტერიუმი OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მათი ჩართულობის ხარისხის გათვალისწინება იყო. დაინტერესებულ მხარეებთან მეორე შეხვედრაზე IRM-ის მკვლევარმა იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მასმედიის, ბიზნესისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები მოიწვია, რომლებიც აქტიურადარ იყვნენ ჩართული ან არ იცოდნენ OGP-ში საქართველოს წევრობის შესახებ. სამწუხაროდ, ამ მეორე შეხვედრას დაესწრო მხოლოდ ოთხი მონაწილე- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და უმაღლესი სასწავლებლების ორ-ორი წარმომადგენელი. ეს კი OGP-ის მიმართ საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილის დაბალ ინტერესზე ან/და ინფორმირებულობაზე მეტყველებს.

საჯარო მოხელეები სამოქმედო გეგმაში შესაბამისი უწყებებისთვის განსაზღვრული კონკრეტული ვალდებულებების საფუძველზე შეირჩნენ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ დაინტერესებულ მხარეთაგან ყველა მზად იყო, კომენტარი გაეკეთებინა ამ საკითხზე. ისინი ანგარიშში საკუთარი სახელების საჯაროდ გამჟღავნებასაც არ ერიდებოდნენ. ინტერვიუების შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა ელექტრონული ფოსტის საშუალებით IRM-ის მკვლევარს დამატებით სასარგებლო მასალებიც გამოუგზავნა.

## დაინტერესებულ მხარეებთან პირველი შეხვედრა

დაინტერესებულ მხარეებთან პირველი შეხვედრა 2013 წლის 25 სექტემბერს გაიმართა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ოფისში. შეხვედრას დაესწრო ცხრა მონაწილე შემდეგი ექვსი ორგანიზაციიდან: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოდან", „ინფორმაციის თავისუფლების კვლევის ინსტიტუტიდან", „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან", „ჯამპსტარტ ჯორჯიადან", „ადამიანის უფლებების სწავლებისადა მონიტორინგის ცენტრიდან" და „მენეჯმენტ სისტემს ინტერნეშენალიდან". ამ შეხვედრაზე IRM-ის მკვლევარმა OGP-ის ზოგადი პრეზენტაცია გააკეთა, რის შემდეგაც საქართველოს სამოქმედო გეგმის თითოეული ვალდებულება განიხილეს. შეხვედრამ ორ საათს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში ყველა დაინტერესებულმა მხარემ გამოთქვა თავისი მოსაზრებები და შეხედულებები და ღირებული ინფორმაცია მიაწოდა IRM-ის მკვლევარს.

## დაინტერესებულ მხარეებთან მეორე შეხვედრა

ორი დღის შემდეგ, 2013 წლის 27 სექტემბერს, IRM-ის მკვლევარმა დაინტერესებულ მხარეებთან მეორე შეხვედრა გამართა. ეს შეხვედრაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ოფისში შედგა. მასესწრებოდა ოთხი მონაწილე- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების („საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" (CSRDG) და„სამოქალაქო განვითარების სააგენტოს" (CiDA) და უმაღლესი სასწავლებლების (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის) წარმომადგენლები. შეხვედრა ერთ საათს გაგრძელდა და იმავე წესით ჩატარდა, როგორითაც წინა შეხვედრა, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად IRM-ის მკვლევარმა მეტი დრო მოანდომა დამსწრეთათვის ვალდებულებების ახსნას და დისკუსიებში მათ უფრო აქტიურად ჩართვას.

TOC

## ინტერვიუები

დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრებთან ერთად IRM-ის მკვლევარმა 11 ინდივიდუალური გასაუბრება გამართა 14 საჯარო მოხელესთან და USAID-ისა და„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ორ წარმომადგენელთან. ამ 11 ინტერვიუდან ათი პირისპირ ფორმატში ჩატარდა, ხოლო ერთი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელთან, -ტელეფონით. თითოეული ამ ინტერვიუს დროს IRM-ის მკვლევარი ძირითად აქცენტს იმის დადგენაზე აკეთებდა, თუ რამდენად შესრულდა სამოქმედო გეგმის ვალდებულებები. ასევე გაანალიზდა ამ მხრივ არსებული სიძნელეები და გამოწვევები და სამომავლო გეგმები. ბოლოს IRM-ის მკვლევარმა საკითხზე არსებული ყველა შესაბამისი დოკუმენტი, ანგარიში და განცხადება მიმოიხილა.

[1] კვლევის სრული მეთოდოლოგიის გასაცნობად იხ. http://bit.ly/120SROu

TOC




Independent Reporting Mechanism
Open Government Partnership
c/o OpenGovHub
1110 Vermont Ave, NW
Suite 500
Washington, DC 20005


Open Government Partnership
INDEPENDENT REPORTING MECHANISM

TRANSPARENCY INTERNATIONAL
GEORGIA

საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო